# ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 13

# *სამართლიანი ღირებულების შეფასება*

## მიზანი

1. **წინამდებარე ფასს სტანდარტი:**

   **ა) განმარტავს *სამართლიან ღირებულებას*;**

   **ბ) ერთ სტანდარტში აყალიბებს სამართლიანი ღირებულების შეფასების საფუძვლებს; და**

   **გ) მოითხოვს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებას განმარტებით შენიშვნებში სამართლიანი ღირებულების შეფასებების შესახებ.**

2. სამართლიანი ღირებულება არ არის ისეთი შეფასება, რომელიც საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება, არამედ საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასებაა. ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს ემპირიული საბაზრო ოპერაციები, ან საბაზრო ინფორმაცია. სხვა აქტივების ან ვალდებულებებისთვის შეიძლება არ არსებობდეს ემპირიული საბაზრო ოპერაციები, ან საბაზრო ინფორმაცია. თუმცა, ორივე შემთხვევაში, სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანი ერთი და იგივეა: განისაზღვროს ფასი, რომლითაც განხორციელდებოდა აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის *ნებაყოფლობითი ოპერაცია ბაზრის მონაწილეებს* შორის, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. *გასვლის ფასი* შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილის პოზიციიდან, რომელიც არის აქტივის მფლობელი, ან, რომელსაც აქვს ვალდებულება).

3. როდესაც არ არსებობს იდენტური აქტივის ან ვალდებულების ემპირიული ფასი, საწარმო სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად იყენებს შეფასების რომელიმე მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო *ემპირიული ამოსავალი მონაცემების* მაქსიმალურად *გამოყენებას* და მინიმალურად ეყრდნობა *არაემპირიულ ამოსავალ ინფორმაციას*. ვინაიდან სამართლიანი ღირებულება საბაზრო შეფასებაა, იგი განისაზღვრება ისეთი დაშვებების (მათ შორის, რისკის შესახებ დაშვებების) გამოყენებით, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას. მაშასადამე, საწარმოს განზრახვა იმის შესახებ, რომ შეინარჩუნებს აქტივს, ან დაფარავს ან სხვა მხრივ შეასრულებს ამა თუ იმ ვალდებულებას, არ წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის შესაფერის ფაქტორს.

4. სამართლიანი ღირებულების განმარტებაში აქცენტი გადატანილია აქტივსა და ვალდებულებაზე, ვინაიდან აქტივი და ვალდებულება წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ძირითად ობიექტს. თუმცა, საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების მიმართაც, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით.

## მოქმედების სფერო

5. **მოცემული სტანდარტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე სხვა სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ან განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნება სამართლიანი ღირებულების შეფასებების შესახებ (ასევე შეფასებები, რომლებიც სამართლიან ღირებულებას ეყრდნობა, როგორიცაა, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება, ან ამგვარი შეფასებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში), გარდა მე-6 და მე-7 პუნქტებში აღწერილი შემთხვევებისა.**

6. წინამდებარე სტანდარტით შეფასებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ გათვალისწინებული მოთხოვნები არ ეხება:

   ა) აქციებზე დაფუძნებული გადახდის გარიგებებს, რომლებიც განეკუთვნება ფასს 2-ის – „*აქციებზე დაფუძნებული გადახდა*“ – მოქმედების სფეროს;

   ბ) საიჯარო ოპერაციებს, რომლებიც აღირიცხება ფასს 16-ის – „*იჯარა*“ – შესაბამისად; და

გ) შეფასებებს, რომლებიც რაღაცით სამართლიანი ღირებულების შეფასების მსგავსია, მაგრამ არ არის სამართლიანი ღირებულება, როგორიცაა, მაგალითად ბასს 2-ით – *„მარაგები“* – გათვალისწინებული ნეტო სარეალიზაციო ღირებულება, ან ბასს 36-ით – *„აქტივების გაუფასურება“* – გათვალისწინებული გამოყენების ღირებულება.

7. წინამდებარე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები არ ეხება შემდეგ მუხლებს:

ა) საპენსიო პროგრამის აქტივებს, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით ბასს 19-ის – *„დასაქმებულთა გასამრჯელოები“* – შესაბამისად;

ბ) საპენსიო პროგრამაში განხორციელებულ ინვესტიციებს, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, ბასს 26-ის – *„საპენსიო პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება“* – შესაბამისად; და

გ) აქტივებს, რომელთა ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება, ბასს 36-ის შესაბამისად.

8. ამ სტანდარტში აღწერილი სამართლიანი ღირებულების შეფასების საფუძვლები გამოიყენება როგორც სამართლიანი ღირებულების საწყისი შეფასებისთვის, ისე შემდგომი შეფასებისთვის, თუკი სხვა ფასს სტანდარტებით მოითხოვება ან ნებადართულია სამართლიანი ღირებულებით შეფასება.

## შეფასება

### სამართლიანი ღირებულების განმარტება

9. **წინამდებარე სტანდარტის მიხედვით, სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.**

10. ბ2 პუნქტში აღწერილია სამართლიანი ღირებულების შეფასების საერთო მიდგომა.

### აქტივი ან ვალდებულება

11. **სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება კონკრეტული აქტივის, ან ვალდებულებისთვის. მაშასადამე, როდესაც საწარმო სამართლიან ღირებულებას აფასებს, მან აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლები მხედველობაში უნდა მიიღოს იმგვარად, როგორც ამ მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას. ამგვარ მახასიათებლებს განეკუთვნება, მაგალითად შემდეგი:**

**ა) აქტივის მდგომარეობა და ადგილმდებარეობა; და**

**ბ) აქტივის გაყიდვასთან, ან გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, თუ ასეთი რამ არსებობს.**

12. ამა თუ იმ კონკრეტული მახასიათებლის გავლენა შეფასებაზე განსხვავებული იქნება იმისდა მიხედვით, როგორ გაითვალისწინებდნენ მას ბაზრის მონაწილეები.

13. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივი ან ვალდებულება შეიძლება იყოს:

ა) ცალკე აქტივი ან ვალდებულება (მაგალითად, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტი, ან არაფინანსური აქტივი); ან

ბ) აქტივების ჯგუფი, ვალდებულებების ჯგუფი, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფი (მაგალითად, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული ან საწარმო).

14. აღიარების, ან ინფორმაციის გამჟღავნების მიზნებისთვის, აქტივი ან ვალდებულება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად მიიჩნევა, აქტივების ჯგუფად, ვალდებულებების ჯგუფად თუ აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფად, დამოკიდებულია იმაზე, რას წარმოადგენს მასთან დაკავშირებული სააღრიცხვო ერთეული. აქტივის ან ვალდებულების სააღრიცხვო ერთეულის

დადგენა შესაძლებელია იმ სტანდარტის მიხედვით, რომლითაც მოითხოვება ან ნებადართულია სამართლიანი ღირებულების შეფასება, წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

### ოპერაცია

**15. სამართლიანი ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ აქტივის ან ვალდებულების გაცვლა ხდება შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში, ბაზრის მონაწილეებს შორის აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის შესახებ ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის მეშვეობით.**

**16. სამართლიანი ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება:**

**ა) მოცემული აქტივის ან ვალდებულების *ძირითად ბაზარზე*; ან**

**ბ) მოცემული აქტივისთვის, ან ვალდებულებისთვის *ყველაზე ხელსაყრელ* ბაზარზე, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი.**

17. აუცილებელი არ არის, საწარმომ სრულყოფილად გამოიკვლიოს ყველა შესაძლო ბაზარი ძირითადი ბაზრის დასადგენად, ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის დასადგენად, როდესაც არ არსებობს ძირითადი ბაზარი, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს ყველანაირი ინფორმაცია, რაც პრაქტიკულად არის ხელმისაწვდომი. თუ საწინააღმდეგო მტკიცებულებები არ არსებობს, ძირითად ბაზრად, ან ყველაზე ხელსაყრელ ბაზრად, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი, მიიჩნევა ის ბაზარი, სადაც საწარმო, ჩვეულებისამებრ, განახორციელებდა აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის ოპერაციას.

18. თუ არსებობს აქტივის ან ვალდებულების ძირითადი ბაზარი, სამართლიანი ღირებულების შეფასება ამ ბაზრის ფასს უნდა ასახავდეს (იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ ემპირიულია, თუ გამოთვლილია შეფასების სხვა მეთოდით), თუნდაც რომელიმე სხვა ბაზრის ფასი პოტენციურად უფრო ხელსაყრელი იყოს შეფასების თარიღისათვის.

19. შეფასების თარიღისთვის საწარმოს უნდა გააჩნდეს წვდომა ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე. ვინაიდან სხვადასხვა საწარმოს (და ამ საწარმოთა ფარგლებში ბიზნესის ცალკეულ მიმართულებებს), რომელიც განსხვავებულ საქმიანობას ეწევა, შეიძლება განსხვავებულ ბაზრებზე ჰქონდეს წვდომა, ერთი და იმავე აქტივის, ან ვალდებულების ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზარი სხვადასხვა საწარმოსთვის (და ამ საწარმოთა ფარგლებში ბიზნესის ცალკეული მიმართულებებისთვის) შეიძლება განსხვავებული იყოს. ამგვარად, ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზრის (და, მაშასადამე, ბაზრის მონაწილეთა) განხილვა უნდა ჩატარდეს მოცემული საწარმოს პოზიციიდან და გათვალისწინებული უნდა იყოს იმ საწარმოთა შორის და საწარმოთა ფარგლებში არსებული განსხვავებები, რომლებიც განსხვავებული საქმიანობით არიან დაკავებულნი.

20. მართალია, საწარმოს უნდა ჰქონდეს წვდომა ზემოაღნიშნულ ბაზარზე, მაგრამ აუცილებელი არ არის, შეფასების თარიღისთვის მან გაყიდოს კონკრეტული აქტივი, ან გადასცეს კონკრეტული ვალდებულება იმისათვის, რომ შეძლოს სამართლიანი ღირებულების შეფასება ამ ბაზრის ფასის საფუძველზე.

21. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს ემპირიული ბაზარი შეფასების თარიღისათვის აქტივის გასაყიდი ფასის, ან ვალდებულების გადაცემის ფასის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა გულისხმობდეს, რომ ოპერაცია განხორციელდა მოცემული თარიღისთვის და განხილული იყოს ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელიც არის აქტივის მფლობელი, ან, რომელსაც აქვს ვალდებულება. ასეთი პირობითი ოპერაცია ქმნის საფუძველს, რომლის მეშვეობითაც შეფასდება აქტივის გასაყიდი ფასი, ან ვალდებულების გადაცემის ფასი.

### ბაზრის მონაწილეები

**22. საწარმომ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ისეთი დაშვებების გამოყენებით უნდა შეაფასოს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან**

**ვალდებულების ფასის დადგენისას, თუკი იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.**

23. ამგვარი დაშვებების განსაზღვრისას, აუცილებელი არ არის, რომ საწარმომ დაადგინოს კონკრეტული ბაზრის მონაწილეები. ამის ნაცვლად, საწარმომ უნდა დაადგინოს ის ზოგადი მახასიათებლები, რითიც ბაზრის მონაწილეები განსხვავდებიან, რისთვისაც უნდა განიხილოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები:

ა) აქტივი ან ვალდებულება;

ბ) აქტივის ან ვალდებულების ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზარი; და

გ) ბაზრის მონაწილეები, ვისთან ერთადაც საწარმო განახორციელებდა ოპერაციას ამ ბაზარზე.

### ფასი

24. **სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით.**

25. ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზრის ფასი, რომელსაც საწარმო გამოიყენებს აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, არ უნდა გაკორექტირდეს *გარიგების (საოპერაციო) დანახარჯებით.* საოპერაციო დანახარჯები უნდა აისახოს სხვა შესაფერისი ფასს სტანდარტების შესაბამისად. საოპერაციო დანახარჯები აქტივის ან ვალდებულების მახასიათებელი არ არის, არამედ კონკრეტული ოპერაციის მახასიათებელია და სხვადასხვა ოპერაციისთვის სხვადასხვანაირი იქნება, იმისდა მიხედვით, როგორ ახორციელებს საწარმო ოპერაციას კონკრეტული აქტივით ან ვალდებულებით.

26. საოპერაციო დანახარჯები არ მოიცავს *ტრანსპორტირების დანახარჯებს.* თუ ადგილმდებარეობა აქტივის მახასიათებელია (რაც შეიძლება მოხდეს, მაგალითად საქონლის შემთხვევაში), ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზრის ფასი უნდა გაკორექტირდეს დანახარჯებით, რომლის გაწევაც საჭირო იქნებოდა აქტივის ტრანსპორტირებისთვის მიმდინარე ადგილსამყოფელიდან ამ ბაზრამდე.

### გამოყენება არაფინანსურ აქტივებთან მიმართებით

#### მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება არაფინანსური აქტივებისთვის

27. **არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაითვალისწინება ბაზრის მონაწილის უნარი, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებით, ან აქტივის გაყიდვის შედეგად ბაზრის სხვა მონაწილეზე, რომელიც ამ აქტივს გამოიყენებდა მაქსიმალურად და ყველაზე ეფექტიანად.**

28. არაფინანსური აქტივის მაქსიმალურ და ყველაზე ეფექტიან გამოყენებაში იგულისხმება აქტივის იმგვარად გამოყენება, რომელიც ფიზიკურად არის შესაძლებელი, იურიდიულად ნებადართულია და ფინანსურად განხორციელებადია, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ:

ა) გამოყენებაში, რომელიც ფიზიკურად არის შესაძლებელი, გაითვალისწინება აქტივის ის ფიზიკური მახასიათებლები, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები მიიღებდნენ მხედველობაში აქტივის ფასის დადგენისას (მაგალითად, ქონების ადგილმდებარეობა ან ზომა);

ბ) გამოყენებაში, რომელიც იურიდიულად არის ნებადართული, გაითვალისწინება აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვა, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მიიღებდნენ მხედველობაში აქტივის ფასის დადგენისას (მაგალითად, ქონებისთვის დადგენილი ზონირების მარეგულირებელი ნორმები);

გ) გამოყენებაში, რომელიც ფინანსურად განხორციელებადია, გაითვალისწინება შემდეგი: აქტივის ფიზიკურად შესაძლებელი და იურიდიულად ნებადართული გამოყენება ქმნის თუ არა იმდენ შემოსავალს, ან ფულად ნაკადებს (იმ დანახარჯების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია ამგვარი გამოყენებისთვის აქტივის გარდასაქმნელად), რაც საკმარისია


© IFRS Foundation

ისეთი დონის საინვესტიციო უკუგების მისაღებად, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოითხოვდნენ მოცემულ აქტივში ინვესტიციის განხორციელებიდან ამგვარი გამოყენებისას.

29. აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთა პოზიციიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საწარმოს მისი სხვაგვარად გამოყენება აქვს განზრახული. ამასთან, საზოგადოდ, იგულისხმება, რომ საწარმოს მიერ არაფინანსური აქტივის მიმდინარე გამოყენება წარმოადგენს მის მაქსიმალურ და ყველაზე ეფექტიან გამოყენებას, თუ ბაზარი ან სხვა ფაქტორები არ მიანიშნებს იმაზე, რომ ბაზრის მონაწილეების მიერ ამ აქტივის სხვაგვარად გამოყენება მაქსიმალურად გაზრდიდა მის ღირებულებას.

30. კონკურენტუნარიანი პოზიციის შესანარჩუნებლად, ან რაიმე სხვა მიზეზით საწარმოს შეიძლება განზრახული ჰქონდეს, აქტიურად არ გამოიყენოს შეძენილი არაფინანსური აქტივი, ან აქტივი არ გამოიყენოს მისი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების შესაბამისად. მაგალითად, ასე შეიძლება მაშინ მოხდეს, როდესაც საწარმოს შეძენილი აქვს არამატერიალური აქტივი და მის გამოყენებას გეგმავს, როგორც გარკვეულ დამცავ საშუალებას, ხელს უშლის რა სხვებს მის გამოყენებაში. მიუხედავად ამისა, საწარმომ არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება მაინც უნდა შეაფასოს ამ აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების გათვალისწინებით ბაზრის მონაწილეების პოზიციიდან.

**არაფინანსური აქტივების შეფასების წინაპირობა**

31. არაფინანსური აქტივების მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება ადგენს შეფასების წინაპირობას, რაც აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება, კერძოდ:

ა) არაფინანსური აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება შეიძლება ბაზრის მონაწილეებისთვის მაქსიმალური ღირებულების მიღებას უზრუნველყოფდეს მისი გამოყენებით სხვა აქტივებთან ერთად, როგორც აქტივების ჯგუფის (მისი დამონტაჟებისას, ან დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ მდგომარეობაში რაიმე სხვა გზით მოყვანის შემთხვევაში), ან სხვა აქტივებთან ან ვალდებულებებთან ერთად (მაგალითად, როგორც საწარმო);

(i) თუ აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება მდგომარეობს აქტივის გამოყენებაში სხვა აქტივებთან ერთად, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად, აქტივის სამართლიანი ღირებულება იქნება ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად მიმდინარე მომენტში განხორციელებული ოპერაციიდან. ამასთან, მხედველობაში მიიღება დაშვება იმის შესახებ, რომ მოცემული აქტივი გამოყენებული იქნება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად და, ამასთან, ეს აქტივები და ვალდებულებები ხელმისაწვდომია ბაზრის მონაწილეებისთვის (ე.ი. დამატებითი აქტივები და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები);

(ii) აქტივთან და დამატებით აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს, რომლითაც ფინანსდება საბრუნავი კაპიტალი, მაგრამ არ მოიცავს სხვა აქტივების დასაფინანსებლად გამოყენებულ ვალდებულებებს, რომლებიც არ შედის აქტივების ჯგუფში;

(iii) არაფინანსური აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების შესახებ საწარმოს მიერ გამოყენებული დაშვებები თავსებადი უნდა იყოს აქტივების ჯგუფში, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფში შემავალი ყველა აქტივისთვის, რომლის ფარგლებშიც აქტივი უნდა იყოს გამოყენებული;

ბ) არაფინანსური აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება შეიძლება ბაზრის მონაწილეებისთვის მაქსიმალური ღირებულების მიღებას უზრუნველყოფდეს მისი ცალკე გამოყენებით. თუ აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება მის ცალკე გამოყენებაში მდგომარეობს, მაშინ აქტივის სამართლიანი ღირებულება იქნება ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის მიმდინარე ოპერაციის მეშვეობით ბაზრის მონაწილეებზე, რომლებიც ამ აქტივს ცალკე გამოიყენებდნენ.

32. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას მხედველობაში მიიღება დაშვება იმის შესახებ, რომ აქტივი იყიდება სხვა ფასს სტანდარტებით განსაზღვრული

სააღრიცხვო ერთეულის შესაბამისად (რაც შეიძლება იყოს ინდივიდუალური აქტივი). ასე ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა დაშვებას, რომ აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება მდგომარეობს მის გამოყენებაში სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად, ვინაიდან სამართლიანი ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ ბაზრის მონაწილე უკვე ფლობს დამატებით აქტივებსა და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

33. ბ3 პუნქტში აღწერილია შეფასების წინაპირობის ცნების გამოყენება არაფინანსურ აქტივებთან მიმართებით.

## გამოყენება ვალდებულებებსა და საწარმოს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებთან მიმართებით

### საერთო პრინციპები

**34. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა დაშვებას იმის შესახებ, რომ ფინანსური ან არაფინანსური ვალდებულება, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტი (მაგალითად, საწარმოთა გაერთიანებისას გამოშვებული საკუთარი კაპიტალის აქციები) ბაზრის მონაწილეს გადაეცემა შეფასების თარიღისთვის. ვალდებულების, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემა გულისხმობს შემდეგს:**

**ა) ვალდებულება დაუფარავი დარჩებოდა და ბაზრის მონაწილე მიმღებ მხარეს მოეთხოვებოდა ვალდებულების შესრულება. შეფასების თარიღისთვის ვალდებულება არ დაიფარებოდა კონტრაჰენტის მიერ ან რაიმე სხვა გზით;**

**ბ) საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტი დაუფარავი დარჩებოდა, ხოლო ბაზრის მონაწილე მიმღები მხარე თავის თავზე აიღებდა ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებს. შეფასების თარიღისთვის არ მოხდებოდა ამ ფინანსური ინსტრუმენტის გაუქმება, ან დაფარვა რაიმე სხვა გზით.**

35. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს ემპირიული ბაზარი, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ვალდებულების, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემის ფასის შესახებ ინფორმაციის მიღება (მაგალითად, იმის გამო, რომ სახელშეკრულებო, ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვები ხელს უშლის აღნიშნული ერთეულების გადაცემას), შეიძლება მაინც არსებობდეს ამგვარი ერთეულების ემპირიული ბაზარი, თუ ამ ერთეულებს სხვა მხარეები ფლობენ, როგორც აქტივებს (მაგალითად, კორპორაციული ობლიგაცია, ან საწარმოს აქციების ქოლ-ოფციონი).

36. ყველა შემთხვევაში, საწარმომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს შესაბამისი ემპირიული ბაზრის მონაცემები და მინიმალურად უნდა დაეყრდნოს არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნის მისაღწევად, რაც მდგომარეობს იმ ფასის განსაზღვრაში, რომლითაც განხორციელდებოდა ვალდებულების, ან წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაცია ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში.

### *ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებსაც სხვა მხარეები ფლობენ, როგორც აქტივებს*

**37. როდესაც ხელმისაწვდომი არ არის იდენტური ან ანალოგიური ვალდებულების, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემის კოტირებული ფასი და იდენტურ ერთეულს ფლობს სხვა მხარე, როგორც აქტივს, საწარმომ ვალდებულების, ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელიც შეფასების თარიღისთვის იდენტურ ერთეულს ფლობს, როგორც აქტივს.**

38. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს:

ა) იდენტური ერთეულის *აქტიური ბაზრის* კოტირებული ფასის გამოყენებით, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს, თუ ასეთი ფასი არსებობს;


© IFRS Foundation

ბ) თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა ემპირიული მონაცემების გამოყენებით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც აქტიური არ არის იმ იდენტური ერთეულისთვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

გ) თუ (ა) და (ბ) პუნქტებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით, როგორიცაა:

(i) *შემოსავლების მიდგომა* (მაგალითად, დღევანდელი ღირებულების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს მომავალ ფულად ნაკადებს, რომლის მიღებასაც ბაზრის მონაწილე ივარაუდებდა იმ ვალდებულების, ან წილობრივი ინსტრუმენტისგან, რომელსაც ის ფლობს, როგორც აქტივს; (იხ. პუნქტები ბ10 და ბ11))

(ii) *საბაზრო მიდგომა* (მაგალითად, ანალოგიური ვალდებულებების, ან წილობრივი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების გამოყენებით, რომლებსაც სხვა მხარეები ფლობენ, როგორც აქტივებს. (იხ. პუნქტები ბ5-ბ7))

39. საწარმომ ვალდებულების, ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის (რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს) კოტირებული ფასი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გააკორექტიროს, თუ ამ აქტივთან დაკავშირებულია სპეციფიკური ფაქტორები, რომელთა გამოყენება მიუღებელია ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ აქტივის ფასი არ ასახავდეს იმ შეზღუდვის გავლენას, რომელიც ხელს უშლის ამ აქტივის გაყიდვას. შემდეგი ფაქტორები, სხვასთან ერთად, შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ აქტივის კოტირებული ფასი უნდა გაკორექტირდეს:

ა) აქტივის კოტირებული ფასი დაკავშირებულია ანალოგიურ (და არა იდენტურ) ვალდებულებასთან, ან წილობრივ ინსტრუმენტთან, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს. მაგალითად, ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს შეიძლება გააჩნდეს სპეციფიკური მახასიათებელი (მაგალითად, ემიტენტის კრედიტუნარიანობა), რომელიც განსხვავდება იმ მახასიათებლისგან, რაც აისახება ანალოგიური ვალდებულების, ან წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიან ღ ირებულებაში, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

ბ) მოცემული აქტივისთვის დადგენილი სააღრიცხვო ერთეული განსხვავდება ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის სააღრიცხვო ერთეულისგან. მაგალითად ვალდებულებებისთვის, ზოგ შემთხვევაში, აქტივის ფასი ასახავს გარკვეული პაკეტის ერთიან ფასს, რომელიც შედგება როგორც ემიტენტისგან მისაღები თანხებისგან, ასევე მესამე მხარისთვის საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარების აღმოჩენის მოთხოვნისგან. თუ ვალდებულებისთვის მიღებული სააღრიცხვო ერთეული არ არის კომბინირებული პაკეტის სააღრიცხვო ერთეული, მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეფასდეს ემიტენტის ვალდებულების და არა კომბინირებული პაკეტის სამართლიანი ღირებულება. ამგვარად, ასეთ შემთხვევაში, საწარმომ აქტივის ემპირიული ფასი უნდა გააკორექტიროს, რათა გამოირიცხოს მესამე მხარისთვის საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარების აღმოჩენის მოთხოვნის გავლენა.

### *ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებსაც სხვა მხარეები არ ფლობენ, როგორც აქტივებს*

40. **როდესაც ხელმისაწვდომი არ არის იდენტური ან ანალოგიური ვალდებულების, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემის კოტირებული ფასი და იდენტურ ერთეულს არ ფლობს სხვა მხარე, როგორც აქტივს, საწარმომ ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს შეფასების რომელიმე მეთოდით ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელსაც გააჩნია ვალდებულება, ან უფლება კაპიტალის ნარჩენ წილზე.**

41. მაგალითად, თუ საწარმო დღევანდელი ღირებულების მეთოდს იყენებს, მას შეუძლია გაითვალისწინოს ნებისმიერი შემდეგი ფაქტორებიდან:

ა) მომავალი ფულადი ნაკადები, რომლის გასვლასაც ივარაუდებდა ბაზრის მონაწილე ვალდებულების შესასრულებლად, მათ შორის, კომპენსაცია, რომელსაც ბაზრის მონაწილე მოითხოვდა ვალდებულების ასაღებად (იხ. პუნქტები ბ31-ბ33);

ბ) თანხა, რომელსაც ბაზრის მონაწილე მიიღებდა იდენტური ვალდებულების აღებისთვის, ან იდენტური წილობრივი ინსტრუმენტის გამოშვებისთვის, ისეთი დაშვებების გამოყენებით, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ იდენტური ერთეულის ფასის დასადგენად ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის გამოშვებისთვის იმავე სახელშეკრულებო პირობებით.

**ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი**

**42. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს *ვალდებულების შეუსრულებლობის* რისკის გავლენას. ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი, სხვასთან ერთად, მოიცავს საწარმოს საკუთარ საკრედიტო რისკსაც (როგორც ეს ცნება განმარტებულია ფასს 7-ში – *„ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“*). იგულისხმება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი ერთნაირია ვალდებულების გადაცემამდე და მის შემდეგაც.**

43. ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს თავისი საკრედიტო რისკის გავლენა (კრედიტუნარიანობა) და ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა იმის ალბათობაზე, ვალდებულება შესრულდება, თუ არ შესრულდება. ზემოაღნიშნული გავლენა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, ვალდებულების ტიპების მიხედვით, მაგალითად:

ა) მოცემული ვალდებულება ფულადი სახსრების გადაცემის ვალდებულებაა (ფინანსური ვალდებულება), თუ საქონლის ან მომსახურების მიწოდების ვალდებულება (არაფინანსური ვალდებულება);

ბ) მოცემულ ვალდებულებასთან დაკავშირებული, საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარების მოთხოვნის პირობები, როდესაც ამგვარი პირობები არსებობს.

44. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს ასახავს მისი სააღრიცხვო ერთეულის საფუძველზე. ისეთი ვალდებულების ემიტენტი, რომელიც გამოშვებულია განუყოფელი მოთხოვნით, დაეხმაროს მესამე მხარეს საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში და ეს მოთხოვნა ვალდებულებისგან განცალკევებით აისახება, ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას არ უნდა ითვალისწინებდეს საკრედიტო რეიტინგის ამაღლების მოთხოვნის გავლენას (მაგალითად, მესამე მხარის დავალიანების დაფარვის გარანტიას). თუ საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარების მოთხოვნა ვალდებულებისგან განცალკევებით აისახება, ემიტენტმა ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას მხედველობაში უნდა მიიღოს საკუთარი საკრედიტო რეპუტაცია და არა თავდები მესამე მხარის (გარანტიის გამცემის).

**შეზღუდვა, რომელიც ხელს უშლის ვალდებულების, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემას**

45. ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას საწარმომ არ უნდა გაითვალისწინოს ზოგიერთი ამოსავალი მონაცემი, ან სხვა ამოსავალი მონაცემების კორექტირება, რომლებიც ეხება შეზღუდვის არსებობას, რომელიც ხელს უშლის ამ ერთეულის გადაცემას. ისეთი შეზღუდვის გავლენა, რომელიც ხელს უშლის ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გაითვალისწინება სამართლიანი ღირებულების შესაფასებელ სხვა მონაცემებში.

46. მაგალითად, ოპერაციის თარიღისთვის კრედიტორი და დებიტორი შეთანხმდნენ ვალდებულების გადაცემის ოპერაციის ფასზე ისე, რომ სრულყოფილად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ვალდებულება მოიცავს შეზღუდვას, რომელიც ხელს უშლის მის გადაცემას. ვინაიდან ეს შეზღუდვა გათვალისწინებული იქნებოდა ოპერაციის ფასში, აუცილებელი არ არის ცალკეული ამოსავალი მონაცემების, ან არსებული ამოსავალი მონაცემების კორექტირების გათვალისწინება ოპერაციის თარიღისთვის, რათა აისახოს შეზღუდვის გავლენა ერთეულის გადაცემაზე. ანალოგიურად, ცალკეული ამოსავალი მონაცემების, ან არსებული ამოსავალი მონაცემების კორექტირების გათვალისწინება არ მოითხოვება არც შემდგომი შეფასების თარიღებისთვის, ერთეულის გადაცემაზე შეზღუდვის გავლენის ასახვის მიზნით.

 © IFRS Foundation

**ფინანსური ვალდებულება მოთხოვნისთანავე დაფარვის შესაძლებლობით**

47. ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულება, რომელსაც ახლავს კრედიტორის მოთხოვნისთანავე ვალდებულების დაფარვის პირობა (მაგალითად, მოთხოვნამდე დეპოზიტები) არ არის მოთხოვნისას გადასახდელ იმ თანხაზე ნაკლები, რომელიც დისკონტირებულია პირველივე თარიღიდან, როდესაც შეიძლება მოითხოვონ თანხის გადახდა.

## გამოყენება ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებსაც გააჩნიათ საბაზრო რისკების, ან კონტრაჰენტის საკრედიტო რისკის ურთიერთგადამფარავი პოზიციები

48. საწარმო, რომელიც ფლობს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფს, ექვემდებარება საბაზრო რისკებს (ფასს 7-ში მოცემული განმარტების თანახმად) და თითოეული კონტრაჰენტის საკრედიტო რისკს. თუ საწარმო ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფს მართავს ან საბაზრო რისკებზე, ან საკრედიტო რისკზე წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე, საწარმოს უფლება აქვს, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენოს წინამდებარე ფასით გათვალისწინებული გამონაკლისი მიდგომა. აღნიშნული გამონაკლისი საწარმოს უფლებას აძლევს, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულება შეაფასოს იმ ფასის საფუძველზე, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა წმინდა გრძელი პოზიციის (ე.ი. აქტივის) გაყიდვისას კონკრეტული რისკის აღებისთვის, ან, რომელიც გადასახდელი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ე.ი. ვალდებულების) გადაცემისას კონკრეტული რისკის აღებისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს, მიმდინარე საბაზრო პირობებში. შესაბამისად, საწარმომ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს იმის გათვალისწინებით, როგორ შეაფასებდნენ ბაზრის მონაწილეები შეფასების თარიღისთვის რისკფაქტორის წმინდა გავლენას.

49. საწარმოს 48-ე პუნქტით დაშვებული გამონაკლისის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:

ა) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფს მართავს კონკრეტულ საბაზრო რისკზე (ან რისკებზე), ან კონკრეტული კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე, საწარმოს ოფიციალური (დოკუმენტირებული) რისკის მართვის, ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად;

ბ) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ინფორმაციას ამავე საფუძვლით წარუდგენს საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას, ბასს 24-ში – *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“* – მოცემული განმარტების შესაბამისად; და

გ) ვალდებულია, ან თვითონ აქვს გადაწყვეტილი ამ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეფასება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

50. 48-ე პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლის მიდგომას არავითარი კავშირი არა აქვს ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან. ზოგ შემთხვევაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენის საფუძველი განსხვავდება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლისგან, მაგალითად, თუ რომელიმე ფასს არ მოითხოვს, ან უფლებას არ აძლევს საწარმოს, ფინანსური ინსტრუმენტები წარადგინოს ნეტო საფუძვლით. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს შეიძლება დასჭირდეს პორტფელის დონის კორექტირებების განაწილება (იხ. პუნქტები 53-56) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის შემადგენელ ინდივიდუალურ აქტივებსა თუ ვალდებულებებზე, რომელიც იმართება რისკფაქტორზე საწარმოს წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე. საწარმომ ამგვარი განაწილება უნდა განახორციელოს რაციონალურ და ერთგვაროვან საფუძველზე, მოცემული გარემოებებისთვის მისაღები მეთოდიკის გამოყენებით.

51. საწარმომ 48-ე პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი მიდგომის გამოყენების მიზნით, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ბასს 8-ის – *„სააღრიცხვო პო-*

© IFRS Foundation

*ლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ – შესაბამისად. საწარმომ, რომელიც გამოიყენებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს, მან ეს სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის პოლიტიკა, რომელიც ეხება კორექტირების თანხების განაწილებას მყიდველისა და გამყიდველის ფასების გათვალისწინებით (იხ. 53-55-ე პუნქტები) და კორექტირების თანხების განაწილებას საკრედიტო რისკის გათვალისწინებით (იხ. 56-ე პუნქტი), უცვლელად უნდა გამოიყენოს პერიოდიდან პერიოდამდე კონკრეტული პორტფელისთვის.

52. 48-ე პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი ეხება მხოლოდ ფინანსურ აქტივებს, ფინანსურ ვალდებულებებსა და სხვა ხელშეკრულებებს, რომლებიც განეკუთვნება ფასს 9-ის – „*ფინანსური ინსტრუმენტები*“ მოქმედების სფეროს (ან ბასს 39-ის – „*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*“ - მოქმედების სფეროს, თუ საწარმოს ჯერ არ დაუნერგავს ფასს 9). 48-51-ე და 53-56-ე პუნქტებში ნახსენებ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებში უნდა იგულისხმოთ ყველანაირი ხელშეკრულება, რომელიც განეკუთვნება ფასს 9-ის მოქმედების სფეროს (ან ბასს 39-ის მოქმედების სფეროს, თუ საწარმოს ჯერ არ დაუნერგავს ფასს 9) და აისახება ფასს 9-ის (ან ბასს 39-ის) შესაბამისად, იმის მიუხედავად, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების განმარტებებს, რომლებიც მოცემულია ბასს 32-ში – „*ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა*“.

**საბაზრო რისკებზე დაქვემდებარება**

53. 48-ე პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენებისას, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელიც იმართება კონკრეტულ საბაზრო რისკზე (ან რისკებზე) წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე, საწარმომ გამყიდველისა და მყიდველის ფასებს შორის განსხვავების დიაპაზონიდან უნდა გამოიყენოს ის ფასი, რომელიც ყველაზე მეტად არის სამართლიანი ღირებულების რეპრეზენტაციული მოცემულ გარემოებებში, კერძოდ, ამ საბაზრო რისკებზე საწარმოს წმინდა დაქვემდებარების პირობებში (იხ. 70-ე და 71-ე პუნქტები).

54. 48-ე პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენებისას, საწარმომ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ საბაზრო რისკი (ან რისკები), რომელსაც საწარმო ექვემდებარება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოცემული ჯგუფის ფარგლებში, არსებითად ერთნაირია. მაგალითად, საწარმომ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული რისკი არ უნდა გააერთიანოს ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონლის ფასის რისკთან, ვინაიდან ამის გაკეთება ვერ შეასუსტებს საწარმოს დამოკიდებულებას საპროცენტო განაკვეთის რისკზე, ან საქონლის ფასის რისკზე. 48-ე პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენებისას, საწარმომ ჯგუფში შემავალი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი საბაზისო რისკი, რომელიც წარმოიქმნება საბაზრო რისკის არაიდენტური პარამეტრებიდან.

55. ანალოგიურად, არსებითად ერთნაირი უნდა იყოს საწარმოს დაქვემდებარების ხანგრძლივობა კონკრეტულ საბაზრო რისკზე (ან რისკებზე), რაც განაპირობა ფინანსურმა აქტივებმა და ფინანსურმა ვალდებულებებმა. მაგალითად, საწარმო, რომელიც 12-თვიან ფიუჩერსულ ხელშეკრულებას იყენებს ფულადი ნაკადების კომპენსაციისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ხუთწლიანი ფინანსური ინსტრუმენტიდან წარმოქმნილ 12-თვიან საპროცენტო განაკვეთის რისკთან, რომელიც განეკუთვნება მხოლოდ ამგვარი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისგან შემდგარ ჯგუფს, 12-თვიან საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარების სამართლიან ღ ირებულებას აფასებს ნეტო საფუძველზე, ხოლო დარჩენილ საპროცენტო განაკვეთის რისკს (ე.ი. 2-დან 5-წლამდე პერიოდის) – ბრუტო საფუძველზე.

**კონკრეტული კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება**

56. როდესაც საწარმო 48-ე პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისს იყენებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომლებიც დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ კონტრაჰენტთან დადებულ გარიგებებთან, საწარმომ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს ამ კონტრაჰენტის საკრედიტო რისკის წმინდა გავლენა საწარმოზე, ან ამ კონტრაჰენტის წმინდა გავლენა საწარმოს საკრედიტო რისკზე, თუ ბაზრის მონაწილეები მხედველობაში მიიღებდნენ ნებისმიერ არსებულ შეთანხმებას, რომელიც ამცირებს საკრედიტო რისკის გავლენას გადაუხდელობის შემთხვევაში (მაგალითად, ამ კონტრაჰენტთან დადებული ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმება, ან

 © IFRS Foundation

შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფის სახით ჩადებული ქონების გაცვლას მოითხოვს მეორე მხარის საკრედიტო რისკზე თითოეული მხარის წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე). სამართლიანი ღირებულების შეფასებამ უნდა ასახოს ბაზრის მონაწილეთა მოლოდინი იმის ალბათობის შესახებ, რომ ამგვარი შეთანხმება სამართლებრივად იქნება უზრუნველყოფილი გადაუხდელობის შემთხვევაში.

## სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას

57. როდესაც აქტივის შეძენა, ან ვალდებულების აღება ხდება ამ აქტივის, ან ვალდებულების გაცვლის ოპერაციის შედეგად, ოპერაციის ფასი იქნება ფასი, რომელიც გადაიხადეს აქტივის შესაძენად, ან მიღებულ იქნა ვალდებულების აღებისთვის (*შემოსვლის ფასი*). პირიქით, აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვისას, ან, რომელიც გადასახდელი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას (*გასვლის ფასი*). საწარმო აქტივებს ყოველთვის არ ყიდის იმ ფასად, რა ფასიც გადაიხადა მათ შესაძენად. ანალოგიურად, საწარმო ვალდებულებებს ყოველთვის არ გადასცემს იმ ფასად, რა ფასიც მიიღო ამ ვალდებულებების აღებისთვის.

58. ზევრ შემთხვევაში ოპერაციის ფასი სამართლიანი ღირებულების ტოლი იქნება (მაგალითად, ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერაციის განხორციელების თარიღისთვის აქტივის ყიდვის ოპერაცია შესრულდება ბაზარზე, სადაც აქტივი გაიყიდებოდა.

59. იმის დასადგენად, სამართლიანი ღირებულება ტოლია თუ არა ოპერაციის ფასის თავდაპირველი აღიარებისას, საწარმომ მხედველობაში უნდა მიიღოს ამ ოპერაციისა და ასევე ამ აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები. ბ4 პუნქტში აღწერილია სიტუაციები, როდესაც ოპერაციის ფასი შეიძლება არ წარმოადგენდეს აქტივის ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას.

60. თუ რომელიმე სხვა სტანდარტი მოითხოვს, ან საწარმოს უფლებას აძლევს, აქტივი ან ვალდებულება თავდაპირველად შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით და ოპერაციის ფასი განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისგან, საწარმომ ამის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიაროს მოგებაში, ან ზარალში, თუ ეს ფასს სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

## შეფასების მეთოდები

61. **საწარმომ შეფასების ისეთი მეთოდები უნდა გამოიყენოს, რომლებიც მოცემული გარემოებების შესაფერისია და რომლისთვისაც საკმარისი მონაცემები არსებობს სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად; ამასთან უზრუნველყოფს სათანადო ემპირიული ამოსავალი მონაცემების მაქსიმალურად გამოყენებას და მინიმალურად ეყრდნობა არაემპირიულ ამოსავალ ინფორმაციას.**

62. შეფასების მეთოდიკის გამოყენების მიზანია, განისაზღვროს ფასი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა, ნებაყოფლობით საფუძველზე, აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის ოპერაციის განხორციელება ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში. შეფასების სამი ყველაზე გავრცელებული მეთოდიკაა საბაზრო მიდგომა, *დანახარჯების* მიდგომა და შემოსავლების მიდგომა. ამ მეთოდიკის ძირითადი ასპექტები აღწერილია ბ5-ბ11 პუნქტებში. საწარმომ სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ისეთი შეფასების მეთოდი უნდა გამოიყენოს, რომელიც თავსებადია ზემოაღნიშნული მიდგომებიდან ერთ-ერთთან, ან რამდენიმესთან.

63. ზოგ შემთხვევაში, მისაღები იქნება რომელიმე ერთი მეთოდის გამოყენება (მაგალითად, როდესაც აქტივის, ან ვალდებულების შეფასება ხდება იდენტური აქტივების, ან ვალდებულებების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასებით). სხვა შემთხვევაში, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს შეფასების რამდენიმე მეთოდის გამოყენება (მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შეფასება ხდება). თუ სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად რამდენიმე შეფასების მეთოდი გამოიყენება, შედეგები (ე.ი. სამართლიანი ღირებულების შესაბამისი მაჩვენებლები) უნდა შეფასდეს შეფასების მნიშვნელობების დიაპაზონის (მწკრივის) გონივრულობის განხილვით. სამართლიანი ღირებულების შეფასება იქნება ამ დიაპაზონიდან ის მნიშვნელობა, რომელიც მოცემულ გარემოებებში ყველაზე ზუსტად ასახავს სამართლიან ღირებულებას.

64. თუ თავდაპირველი აღიარებისას ოპერაციის ფასი წარმოადგენს სამართლიან ღ ირებულებას და მომდევნო პერიოდებში სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდი, რომელიც ეყრდნობა არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, მაშინ შეფასების ეს მეთოდი იმგვარად უნდა გაკორექტირდეს, რომ თავდაპირველი აღიარებისას ამ შეფასების მეთოდით მიღებული შედეგი (შეფასება) ტოლი იყოს ოპერაციის ფასის. მეთოდის კორექტირება უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ შეფასების მეთოდში აისახება მიმდინარე საბაზრო პირობები და ეს საწარმოს დაეხმარება იმის დადგენაში, აუცილებელია თუ არა შეფასების მეთოდის კორექტირება (მაგალითად, შეიძლება აქტივს ან ვალდებულებას ჰქონდეს ისეთი მახასიათებელი, რომელსაც არ ითვალისწინებს შეფასების მოცემული მეთოდი). თავდაპირველი აღიარების შემდეგ, როდესაც სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება შეფასების ისეთი მეთოდით ან მეთოდებით, რომელიც ეყრდნობა არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, საწარმო უნდა დარწმუნდეს, რომ შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები ასახავს შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომ ემპირიულ საბაზრო მონაცემებს (მაგალითად, ანალოგიური აქტივის, ან ვალდებულების ფასს).

65. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების მეთოდი საწარმომ უცვლელად უნდა გამოიყენოს. თუმცა, მისაღებია შეფასების მეთოდში, ან მის გამოყენებაში ცვლილებების შეტანა (მაგალითად, მისი შეწონილი მნიშვნელობის შეცვლა, როდესაც რამდენიმე შეფასების მეთოდი გამოიყენება, ან შეფასების მეთოდის განსხვავებულად კორექტირება), თუ ამგვარი ცვლილების შედეგად მიიღება ისეთი შეფასება, რომელიც სამართლიანი ღირებულების ტოლია, ან ყველაზე უკეთ ასახავს სამართლიან ღირებულებას მოცემულ გარემოებებში. მაგალითად, ასე შეიძლება მოხდეს ნებისმიერ შემდეგ სიტუაციაში:

ა) ვითარდება ახალი ბაზრები;

ბ) ხელმისაწვდომი ხდება ახალი ინფორმაცია;

გ) ადრე გამოყენებული ინფორმაცია აღარ არის ხელმისაწვდომი;

დ) დაიხვეწა (გაუმჯობესდა) შეფასების მეთოდები; ან

ე) შეიცვალა საბაზრო პირობები.

66. სამართლიანი ღირებულების ცვლილებები (შესწორებები), რომლებიც გამოიწვია შეფასების მეთოდში, ან მის გამოყენებაში შეტანილმა ცვლილებებმა, უნდა აისახოს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება ბასს 8-ის შესაბამისად. თუმცა, საწარმოს არ მოეთხოვება სააღრიცხვო შეფასების შეცვლასთან დაკავშირებით ბასს 8-ის მიხედვით გასამჟღავნებელი ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენა ისეთი შესწორებებისთვის, რომლებიც გამოიწვია შეფასების მეთოდში, ან მის გამოყენებაში შეტანილმა ცვლილებებმა.

## ამოსავალი ინფორმაცია შეფასების მეთოდებისთვის

### ზოგადი პრინციპები

**67. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს სათანადო ემპირიული ამოსავალი მონაცემების მაქსიმალურად გამოყენებას და მინიმალურად უნდა ეყრდნობოდეს არაემპირიულ ამოსავალ ინფორმაციას.**

68. საფონდო ბირჟები, დილერული ბაზრები, საშუამავლო ბაზრები და „მარწმუნებლიდან მარწმუნებლამდე“ ბაზრები ისეთი ბაზრების მაგალითებია, სადაც ამოსავალი მონაცემები შეიძლება ემპირიული იყოს მხოლოდ ზოგიერთი აქტივების, ან ვალდებულებებისთვის (მაგალითად, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის) (იხ. ბ34 პუნქტი).

69. საწარმომ ისეთი ამოსავალი მონაცემები უნდა შეარჩიოს, რომლებიც შეესაბამება აქტივის ან ვალდებულების იმ მახასიათებლებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ აქტივით, ან ვალდებულებით განხორციელებული ოპერაციის დროს (იხ. მე-11 და მე-12 პუნქტები). ზოგ შემთხვევაში, ამ მახასიათებლებს კორექტირება ესაჭიროება, მაგალითად პრემიით, ან დისკონტით (როგორიცაა, მაგალითად პრემია კონტროლისთვის, ან არამაკონტროლებელი წილის დისკონტი). თუმცა, სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული არ უნდა იყოს პრემია ან დისკონტი, რომელიც არ შეესაბამება იმ სტანდარტის სააღრიცხვო ერთეულს, რომელიც სამართლიანი ღირებულებით შეფასებას მოითხოვს, ან

სამართლიანი ღირებულებით შეფასების უფლებას იძლევა (იხ. მე-13 და მე-14 პუნქტები). ნებადართული არ არის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში ისეთი პრემიების ან დისკონტების გათვალისწინება, რომლებიც ასახავს საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტების პაკეტის სიდიდეს, როგორც ამ პაკეტის მახასიათებელს (განსაკუთრებით, დამბლოკი კოეფიციენტის, რომელიც ცვლის (აკორექტირებს) აქტივის, ან ვალდებულების კოტირებულ ფასს იმის გამო, რომ ბაზრის ჩვეულებრივი დღიური სავაჭრო ბრუნვა საკმარისი არ არის აქტივებისა და ვალდებულებების იმ რაოდენობის ასათვისებლად, რომელიც საწარმოს გააჩნია, როგორც ეს აღწერილია მე-80 პუნქტში) და არა როგორც აქტივის ან ვალდებულების მახასიათებელს (მაგალითად, პრემია კონტროლისთვის, როდესაც საწარმო აფასებს მაკონტროლებელი წილის სამართლიან ღირებულებას). ყველა შემთხვევაში, თუკი არსებობს აქტივის, ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი (ე.ი. *1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები*), საწარმომ ეს ფასი უნდა გამოიყენოს სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, კორექტირების გარეშე, 79-ე პუნქტში აღწერილი შემთხვევების გარდა.

**ამოსავალი მონაცემები, რომლებიც ეყრდნობა გამყიდველისა და მყიდველის ფასებს**

70. თუ სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ აქტივს ან ვალდებულებას გააჩნია მყიდველის ფასი და გამყიდველის ფასი (მაგალითად, დილერული ბაზრის ამოსავალი მონაცემები), სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საწარმომ უნდა გამოიყენოს მოთხოვნა-მიწოდების სპრედიდან ის ფასი, რომელიც ყველაზე ზუსტად ასახავს სამართლიან ღირებულებას მოცემულ გარემოებებში, იმის მიუხედავად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ეს მონაცემები (ე.ი. 1-ელ, მე-2 თუ მე-3 დონეს; იხ. 72-90-ე პუნქტები). აქტივების პოზიციებისთვის ნებადართულია მყიდველის ფასების გამოყენება და ვალდებულებების პოზიციებისთვის – გამყიდველის ფასების, მაგრამ ამის გაკეთება სავალდებულო არ არის.

71. წინამდებარე სტანდარტი არ კრძალავს საშუალო საბაზრო ფასების, ან ფასების სხვა მონაცემების გამოყენებას, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები იყენებენ, როგორც პრაქტიკულ საშუალებას სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად მოთხოვნა-მიწოდების სპრედის ფარგლებში.

## სამართლიანი ღირებულების იერარქია

72. იმისათვის, რომ უფრო მეტი თავსებადობა და შესადარისობა იქნეს მიღწეული სამართლიანი ღირებულების შეფასებებსა და სათანადო ინფორმაციის გამჟღავნებაში, წინამდებარე სტანდარტი ადგენს სამართლიანი ღირებულების იერარქიას, რომლის თანახმად სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდებში გამოსაყენებელი ამოსავალი მონაცემები სამ დონედ იყოფა (იხ. 76-90-ე პუნქტები). სამართლიანი ღირებულების იერარქიაში ყველაზე მეტი პრიორიტეტი მინიჭებული აქვს იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებულ ფასებს (გაუკორექტირებელს) (*1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები*) და ყველზე ნაკლები პრიორიტეტი – არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (*მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები*).

73. ზოგ შემთხვევაში, აქტივის, ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის. ამა თუ იმ კონკრეტული მონაცემის მნიშვნელობის შეფასება, სამართლიანი ღირებულების მთლიან შეფასებასთან მიმართებით, საჭიროებს განსჯას, მოცემული აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებას. როდესაც ადგენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეს, რომელსაც სამართლიანი ღირებულების შეფასება მიეკუთვნება, საწარმომ არ უნდა გაითვალისწინოს კორექტირებები, რომლებიც აუცილებელია სამართლიან ღირებულებაზე დაფუძნებული შეფასებების გამოსათვლელად, როგორიცაა, მაგალითად გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები, როდესაც საწარმო აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას.

74. შესაფერისი ამოსავალი ინფორმაციის არსებობამ და მათმა შეფარდებითმა სუბიექტურობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს შეფასების სათანადო მეთოდის შერჩევაზე (იხ. 61-ე პუნქტი). თუმცა, სამართლიანი ღირებულების იერარქია უპირატესობას ანიჭებს შეფასების მეთოდში

გამოყენებულ ამოსავალ მონაცემებს და არა თვითონ შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენება სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. მაგალითად, სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც მიიღება დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, შეიძლება მიეკუთვნოს მე-2 ან მე-3 დონეს, იმ ამოსავალი მონაცემების მიხედვით, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ასევე სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმ დონის მიხედვით, რომელსაც მოცემული ამოსავალი მონაცემები მიეკუთვნება.

75. თუ ემპირიული ამოსავალი მონაცემები კორექტირებას საჭიროებს არაემპირიული მონაცემების გამოყენებით და კორექტირების შედეგად მიიღება სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად უფრო დიდი ან პატარა შეფასება, ასეთი შეფასება უნდა მიეკუთვნოს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს. მაგალითად, თუ ბაზრის მონაწილე მხედველობაში მიიღებდა აქტივის გაყიდვის შესაძლებლობასთან დაკავშირებულ შეზღუდვას, საწარმომ კოტირებული ფასი უნდა გააკორექტიროს ამ შეზღუდვის გავლენის გასათვალისწინებლად. თუ კოტირებული ფასი *მე-2 დონის* ამოსავალი მონაცემია და კორექტირება ხდება არაემპირიული ამოსავალი მონაცემით, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, ეს შეფასება უნდა მიეკუთვნოს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს.

## 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები

76. 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.

77. აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი, თუკი არსებობს, ყველაზე საიმედო მტკიცებულებებს უზრუნველყოფს სამართლიანი ღირებულების შესახებ და საწარმომ კორექტირების გარეშე უნდა გამოიყენოს სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც აღწერილია 79-ე პუნქტში.

78. 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება ბევრი ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება ბევრ აქტიურ ბაზარზე იცვლებოდეს (მაგალითად, სხვადასხვა საფონდო ბირჟაზე). ამგვარად, 1-ლი დონის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემდეგი საკითხების დადგენას:

ა) აქტივის ან ვალდებულების ძირითადი ბაზარი, ან, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი, ამ აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი; და

ბ) შეუძლია თუ არა საწარმოს მონაწილეობის მიღება ამ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებულ ოპერაციაში მოცემული ბაზრის ფასით, შეფასების თარიღისთვის.

79. საწარმომ არასდროს არ უნდა გააკორექტიროს 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები, ქვემოთ აღწერილი სიტუაციების გარდა:

ა) როდესაც საწარმოს გააჩნია დიდი რაოდენობის მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) აქტივები და ვალდებულებები (მაგალითად, სავალო ფასიანი ქაღალდები), რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი არსებობს, მაგრამ ადვილად ხელმისაწვდომი არ არის თითოეული ამ აქტივის ან ვალდებულებისთვის ინდივიდუალურად (ე.ი. იმის გამო, რომ საწარმოს გააჩნია დიდი რაოდენობის მსგავსი აქტივები ან ვალდებულებები, ძნელი იქნება შეფასების თარიღისთვის ფასის შესახებ ინფორმაციის მოპოვება თითოეული ინდივიდუალური აქტივის, ან ვალდებულებისთვის). ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკული საშუალების ორიენტირის სახით, საწარმოს უფლება აქვს სამართლიანი ღირებულება განსაზღვროს შეფასების სხვა მეთოდით, რომელიც არ ეყრდნობა მხოლოდ კოტირებულ ფასებს (მაგალითად, ფასდადგენის (შეფასების) მატრიცული მეთოდი). თუმცა, შეფასების სხვა მეთოდით მიღებული სამართლიანი ღირებულების შეფასებები მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის უფრო დაბალ დონეს;

ბ) როდესაც აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი არ ასახავს სამართლიან ღირებულებას შეფასების თარიღისთვის. ასე შეიძლება მოხდეს, მაგალითად მაშინ, როდესაც ბაზრის

 © IFRS Foundation

დახურვის შემდეგ, მაგრამ შეფასების თარიღამდე მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდება (როგორიცაა, ოპერაციების განხორციელება „მარწმუნებლიდან მარწმუნებლამდე“ ბაზარზე, საჯარო ვაჭრობა საშუამავლო ბაზარზე ან ფინანსური ბაზრების ოფიციალური განცხადებები). საწარმომ უნდა განსაზღვროს და უცვლელად გამოიყენოს პოლიტიკა იმ მოვლენების დასადგენად, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა სამართლიანი ღირებულების შეფასებებზე. თუმცა, თუ საწარმო კოტირებულ ფასს გააკორექტირებს ახალი ინფორმაციის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულების კორექტირებული შეფასებები მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის უფრო დაბალ დონეს;

გ) როდესაც საწარმო აფასებს ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას იდენტური ერთეულის კოტირებული ფასის მიხედვით, რომელიც აქტიურ ბაზარზე იყიდება, როგორც აქტივი და საჭიროა ამ ფასის კორექტირება მოცემული ერთეულის, ან აქტივისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით (იხ. 39-ე პუნქტი). თუ საჭირო არ არის აქტივის კოტირებული ფასის კორექტირება, სამართლიანი ღირებულების შეფასება მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის 1-ელ დონეს. თუმცა, აქტივის კოტირებული ფასის კორექტირების შედეგად მიღებული სამართლიანი ღირებულების შეფასება მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის უფრო დაბალ დონეს.

80. თუ საწარმოს აქტივის ან ვალდებულების ერთი პოზიცია გააჩნია (მათ შორის, პოზიცია, რომელიც შედგება დიდი რაოდენობის იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისგან, როგორიცაა, მაგალითად ფინანსური ინსტრუმენტების პაკეტი) და ეს აქტივი ან ვალდებულება იყიდება აქტიურ ბაზარზე, აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა განხორციელდეს 1-ლი დონის ფარგლებში, ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს განკარგულებაში არსებული ერთეულების რაოდენობაზე. საწარმო ასე უნდა მოიქცეს მაშინაც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ბრუნვა საკმარისი არ არის აქტივებისა თუ ვალდებულებების იმ რაოდენობის ასათვისებლად („შთანქთმისთვის“), რომელიც საწარმოს გააჩნია და ერთი ოპერაციის მეშვეობით ამ პოზიციის გაყიდვის შეკვეთების განთავსებამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

## მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები

81. მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.

82. თუ აქტივს ან ვალდებულებას გააჩნია გარკვეული (სახელშეკრულებო) პერიოდი, მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები ემპირიული უნდა იყოს აქტივის ან ვალდებულების პრაქტიკულად მთელი ვადის განმავლობაში. მე-2 დონის მონაცემებს განეკუთვნება:

ა) ანალოგიური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები;

ბ) იდენტური, ან ანალოგიური აქტივების ან ვალდებულებების ისეთი ბაზრის კოტირებული ფასები, რომელიც არ არის აქტიური;

გ) აქტივის ან ვალდებულების შესახებ სხვა ემპირიული მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, მაგალითად:

(i) საპროცენტო განაკვეთები და შემოსავლიანობის მრუდები, რომლებიც ემპირიულია ჩვეულებრივ კოტირებულ ინტერვალებში;

(ii) ნაგულისხმევი ცვალებადობა; და

(iii) საკრედიტო სპრედები.

დ) ბაზრის მიერ დადასტურებული ამოსავალი მონაცემები.

83. მე-2 დონის მონაცემების კორექტირებები სხვადასხვანაირი იქნება კონკრეტული აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორების მიხედვით. ამგვარ ფაქტორებს განეკუთვნება:

(ა) აქტივის მდგომარეობა, ან ადგილმდებარეობა;

(ბ) რა დონეზე არის ამოსავალი მონაცემები დაკავშირებული ერთეულებთან, რომლებიც აქტივის ან ვალდებულების შესადარისია (მათ შორის, ფაქტორები, რომლებიც აღწერილია 39-ე პუნქტში); და

(გ) იმ ბაზრების საქმიანობის მოცულობა, ან დონე, საიდანაც მოიპოვება ემპირიული ამოსავალი მონაცემები.

84. მე-2 დონის ისეთი ამოსავალი მონაცემების კორექტირებამ, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, შეიძლება გავლენა მოახდინოს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე მისაკუთვნებელი სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე, თუ კორექტირებისას გამოიყენება არსებითი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

85. ბ35 პუნქტში აღწერილია მე-2 დონის ამოსავალი მონაცემების გამოყენება კონკრეტულ აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით.

## მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები

86. მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტივის ან ვალდებულების შესახებ არაემპირიული ამოსავალო მონაცემები.

87. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად არაემპირიული ამოსავალი მონაცემები საწარმომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს, როდესაც არ არსებობს შესაფერისი ემპირიული ამოსავალი მონაცემები და, მაშასადამე, გაითვალისწინება ისეთი სიტუაციები, როდესაც შეფასების თარიღისთვის მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან მიმართებით უმნიშვნელო საქმიანობა არის დაკვირვებადი (ემპირიული). თუმცა, სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანი ამ შემთხვევაშიც იგივე რჩება, ე.ი. განისაზღვროს გასვლის ფასი შეფასების თარიღისთვის, ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელიც განკარგავს აქტივს, ან გააჩნია ვალდებულება. ამგვარად, არაემპირიული მონაცემები უნდა ასახავდეს იმ დაშვებებს, მათ შორის რისკის შესახებ დაშვებას, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

88. რისკის შესახებ დაშვებები მოიცავს სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული კონკრეტული შეფასების მეთოდისთვის დამახასიათებელ რისკს (როგორიცაა, მაგალითად ფასწარმოქმნის მოდელი) და ასევე მოცემული შეფასების მეთოდის ამოსავალი მონაცემებისთვის დამახასიათებელ რისკს. შეფასება, რომელიც კორექტირებული არ არის რისკის გათვალისწინებით, არ იქნება სამართლიანი ღირებულების შეფასება, თუკი ბაზრის მონაწილეები ამ რისკს გაითვალისწინებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას. მაგალითად, რისკის გათვალისწინებით კორექტირება შეიძლება აუცილებელი იყოს, როდესაც შეფასებას უკავშირდება არსებითი განუსაზღვრელობა (მაგალითად, როდესაც ბაზარზე მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან, ან ანალოგიურ აქტივებთან ან ვალდებულებებთან მიმართებით მნიშვნელოვნად დაეცა საქმიანობის მოცულობა, ან დონე ბაზრის ტიპურ საქმიანობასთან შედარებით და საწარმომ გადაწყვიტა, რომ ოპერაციის ფასი, ან კოტირებული ფასი არ ასახავს სამართლიან ღირებულებას, როგორც ეს აღწერილია ბ37-ბ47 პუნქტებში).

89. საწარმომ არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უნდა დაამუშაოს მოცემულ გარემოებებში ხელმისაწვდომი ყველანაირი ინფორმაციის საფუძველზე, რაც შეიძლება მოიცავდეს საწარმოს საკუთარ მონაცემებსაც. არაემპირიული ამოსავალი მონაცემების დამუშავება საწარმოს შეუძლია დაიწყოს საკუთარი მონაცემებით, მაგრამ მან უნდა გააკორექტიროს ეს მონაცემები, თუ ხელმისაწვდომი ინფორმაცია იმაზე მიანიშნებს, რომ ბაზრის სხვა მონაწილეები სხვა მონაცემებს გამოიყენებდნენ, ან ისეთი ინფორმაცია არსებობს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ საწარმოსთვის და ხელმისაწვდომი არ არის ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის (მაგალითად, საწარმოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სინერგია). საწარმოს არ ევალება მიზანშეუწონლად ზედმეტი ძალისხმევის გამოჩენა ბაზრის მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. თუმცა, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ბაზრის მონაწილეთა დაშვებების შესახებ გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი მთელი ინფორმაცია. ზემოაღნიშნული მეთოდით დამუშავებული არაემპირიული ამოსავალი მონაცემები მიიჩნევა ბაზრის მონაწილეთა დაშვებებად და აკმაყოფილებს სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანს.

 © IFRS Foundation

90. ბ36 პუნქტში აღწერილია მე-3 დონის ამოსავალი მონაცემების გამოყენება კონკრეტულ აქტივებ-თან და ვალდებულებებთან მიმართებით.

## განმარტებითი შენიშვნები

**91. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება, შეაფასოს:**

**ა) აქტივებთან ან ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთა სამართლიანი ღირებუ-ლებების შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ პერიოდულად, ან ერთჯერადად ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში – ამ შეფასებების გამოსათვლელად გამოყენებული შეფასების მეთოდები და ამოსავალი ინფორმაცია;**

**ბ) მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების (მე-3 დონე) საფუძველზე გამოთვლილი სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც პერიოდულად ხელახლა განისაზღვრება – ამ შეფასებების გავლენა პერიოდის მოგებაზე ან ზარალზე, ან სხვა სრულ შემოსავალზე.**

92. 91-ე პუნქტში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ყველა შემდეგი ფაქტორი:

ა) ინფორმაციის დეტალიზების დონე, რომელიც საკმარისია ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესასრულებლად;

ბ) რამდენად დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს სხვადასხვა მოთხოვნიდან თითოეულს;

გ) ინფორმაციის აგრეგირების, ან დეზაგრეგირების აუცილებელი დონე; და

დ) დასჭირდებათ თუ არა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დამატებითი ინფორმაცია მიწოდებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

თუ წინამდებარე სტანდარტის, ან სხვა ფასს სტანდარტების შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია საკმარისი არ აღმოჩნდება 91-ე პუნქტში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ამ მიზნების მისაღწევად.

93. 91-ე პუნქტში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, თითოეული კატეგორიის აქტივების ან ვალდებულებების მიხედვით (იხ. 94-ე პუნქტი ინფორმაციის მისაღებად აქტივებისა და ვალდე-ბულებების შესაბამისი კატეგორიების დასადგენად), რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით (მათ შორის, შეფასებები, რომლებიც ეყრდნობა სამართლიან ღირებულებას და განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:

ა) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის – სამარ-თლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო სამართლიანი ღირებულებების ერთჯერადი შეფასებებისთვის – შეფასების მიზეზები. აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებები ის შეფასებებია, რომელთა ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოითხოვება, ან ნებადართულია სხვა ფასს სტანდარტებით. აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებები ის შეფასებებია, რომელთა ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოითხოვება გარკვეულ გარემოებებში (მაგალითად, როდესაც საწარმო გასაყიდად გამიზნულ აქტივს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამარ-თლიანი ღირებულებით ფასს 5-ის – „*გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები*“ – შესაბამისად, ვინაიდან აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე);

ბ) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის – სამართ-ლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების შეფასებები მთლიანად (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე);

გ) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს კუთვნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელთა სამართლიანი ღირებულებები პერიოდულად ხელახლა განისაზღვრება – თანხები, რომელთა გადანაცვლება მოხდა სამართლიანი ღირებულების იერარქიის 1-ელ და მე-2 დონეებს შორის, გადატანის მიზეზები და საწარმოს პოლიტიკა, რომელიც ეხება იმის დადგენას, როდის მიიჩნევა, რომ განხორციელდა შეფასების გადანაცვლება ერთი დონიდან მეორეში (იხ. 95-ე პუნქტი). თითოეულ დონეში გადატანილი შეფასებები, თითოეული დონიდან სხვა დონეში გადატანილი შეფასებებისგან განცალკევებით უნდა იყოს ნაჩვენები და განხილული;

დ) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეს განეკუთვნება – სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა. თუ შეიცვალა გამოყენებული შეფასების მეთოდი (მაგალითად, საბაზრო მიდგომა შეიცვალა შემოსავლების მიდგომით, ან დამატებით გამოიყენეს სხვა შეფასების მეთოდი), საწარმომ უნდა განმარტოს, რა შეიცვალა და შეცვლის მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება, საწარმომ უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. საწარმოს არ ევალება რაოდენობრივი ინფორმაციის დამუშავება სპეციალურად ინფორმაციის გამჟღავნების ზემოხსენებული მოთხოვნის შესასრულებლად, თუ მას ეს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები არ დაუმუშავებია სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს (მაგალითად, როდესაც საწარმო წინა ოპერაციების ფასებს, ან მესამე მხარის ფასის ინფორმაციას იყენებს კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ პუნქტით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაციის წარმოდგენისას, საწარმომ არ უნდა უგულებელყოს ისეთი რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ხელმისაწვდომი იქნება საწარმოსთვის;

ე) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება – საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ მუხლებთან:

(i) პერიოდის მთლიანი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარდა მოგებაში ან ზარალში და მოგების ან ზარალის შემადგენელი მუხლ(ებ)ი, რომელშიც აისახა ეს შემოსულობა ან ზარალი;

(ii) პერიოდის მთლიანი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში და სხვა სრული შემოსავლის შემადგენელი მუხლ(ებ)ი, რომელშიც აისახა ეს შემოსულობა ან ზარალი;

(iii) შესყიდვები, გაყიდვები, ემისიები და ანგარიშსწორება (თითოეული ტიპის ცვლილებები ცალ-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები);

(iv) სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეში და მე-3 დონიდან გადატანილი ნებისმიერი თანხები, გადატანის მიზეზების ახსნა და საწარმოს პოლიტიკა, რომელიც ეხება იმის დადგენას, როდის მიიჩნევა, რომ განხორციელდა შეფასების გადანაცვლება ერთი დონიდან მეორეში (იხ. 95-ე პუნქტი). მე-3 დონეში გადატანილი შეფასებები მე-3 დონიდან სხვა დონეში გადატანილი შეფასებებისგან განცალკევებით უნდა იყოს ნაჩვენები და განხილული;

ვ) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება – (ე)(i) ქვეპუნქტში აღწერილი პერიოდის მთლიანი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აისახა მოგებაში ან ზარალში და მიეკუთვნება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს კუთვნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული არარეალიზებული შემოსულობის ან ზარალის ცვლილებას და ასევე მოგების ან ზარალის შემადგენელი მუხლ(ებ)ი, რომელშიც აისახა არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი;

 © IFRS Foundation

ზ) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება – საწარმოს მიერ გამოყენებული შეფასების პროცესის (პროცედურების) აღწერა (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს საწარმო გადაწყვეტილებებს შეფასების პოლიტიკასა და პროცედურებთან დაკავშირებით და როგორ აანალიზებს საწარმო პერიოდიდან პერიოდამდე სამართლიანი ღირებულების შეფასებებში მომხდარ ცვლილებებს);

თ) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება:

(i) ყველა ამგვარ შეფასებასთან დაკავშირებით – არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებებზე სამართლიანი ღირებულების შეფასების მგრძნობელობის ნარატიული აღწერა, თუ ამ ამოსავალი მონაცემების განსხვავებული სიდიდით შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად დიდი ან პატარა შეფასება. თუ სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამგვარი ამოსავალი მონაცემები და სხვა არაემპირიული ამოსავალი მონაცემები ურთიერთდაკავშირებულია, საწარმომ დამატებით უნდა წარმოადგინოს ამ ურთიერთკავშირის აღწერა და როგორ შეუძლია ამ კავშირ-ურთიერთობებს სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების გავლენის გაძლიერება, ან შესუსტება. იმისათვის, რომ შეასრულოს ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ მოცემული მოთხოვნა, არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებებზე სამართლიანი ღირებულების შეფასების მგრძნობელობის ნარატიული აღწერა უნდა მოიცავდეს სულ მცირე იმ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს მაინც, რომლებიც (დ) პუნქტის მოთხოვნების შესრულების მიზნით წარმოადგინა;

(ii) ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით – თუ დასაბუთებულად შესაძლო ალტერნატიული დაშვებების ასახვის მიზნით, ერთი ან რამდენიმე არაემპირიული ამოსავალი მონაცემის შეცვლა სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად შეცვლას გამოიწვევდა, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა მიუთითოს თვითონ ეს ფაქტი და ახსნას ამ ცვლილებების გავლე-ნა. საწარმომ უნდა განმარტოს, როგორ გამოითვალა ზემოაღნიშნული ცვლილების გავლენა, დასაბუთებულად შესაძლო ალტერნატიული დაშვებების ასახვის მიზნით. ზემოაღნიშნული მიზნებისთვის ცვლილების მნიშვნელობა საწარმომ უნდა შეაფასოს მოგებასთან ან ზარალთან და აქტივების ან ვალდებულებების ჯამურ ღირებულებასთან მიმართებით, ან მთლიან საკუთარ კაპიტალთან მიმართებით, თუ სამართლიანი ღირებულების ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება.

(ი) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის – თუ არაფინანსური აქტივის მიმდინარე გამოყენება განსხვავდება მისი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისგან, საწარმომ უნდა განაცხადოს ამ ფაქტის შესახებ და განმარტოს, რატომ არ იყენებენ არაფინანსურ აქტივს მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების შესაბამისად.

94. საწარმომ აქტივებისა და ვალდებულებების სათანადო კლასიფიკაცია უნდა განსაზღვროს შემდეგ საფუძველზე:

ა) აქტივებისა და ვალდებულებების ხასიათი, მახასიათებლები და რისკები; და

ბ) სამართლიანი ღირებულების იერარქიის ის დონე, რომელსაც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების შეფასება.

შეიძლება აუცილებელი გახდეს დიდი რაოდენობის საკლასიფიკაციო კატეგორიების განსაზღვრა სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე მისაკუთვნებელი სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რადგან ამგვარი შეფასებებისთვის უფრო მაღალი ხარისხის განუსაზღვრელობა და სუბიექტურობა არის დამახასიათებელი. აქტივებისა და ვალდებულებების სათანადო კლასიფიკაციის განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებების შესახებ, განსჯა და გადაწყვეტილების მიღება ესაჭიროება. აქტივებისა და ვალდებულებების ამგვარ კლასიფიკაციას

ხშირად უფრო მეტი ხარისხით დეზაგრეგირება ესაჭიროება, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ მუხლებს. თუმცა, საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს განმარტებით შენიშვნებში, რომ შესაძლებელი იყოს მისი შესაბამისობაში მოყვანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ მუხლებთან. თუ რომელიმე სხვა სტანდარტი ადგენს აქტივის ან ვალდებულების კლასს (კლასიფიკაციას), საწარმომ იგივე კლასიფიკაცია უნდა გამოიყენოს განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გასამჟღავნებლად წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, თუკი ეს კლასიფიკაცია აკმაყოფილებს წინამდებარე 94-ე პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

95. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა განმარტოს და უცვლელად გამოიყენოს პოლიტიკა, რომელსაც იყენებს იმის დასადგენად, განხორციელდა თუ არა სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის შეფასებების გადანაცვლება 93(გ) და (ე)(iv) ქვეპუნქტების შესაბამისად. პოლიტიკა, რომელიც ეხება ამგვარად გადატანილი შეფასებების აღიარებისთვის დროს შერჩევას, იგივე უნდა იყოს, რაც გამოიყენება რომელიმე დონეში, ან რომელიმე დონიდან სხვა დონეში შეფასებების გადატანის მიმართ. ქვემოთ განხილულია პოლიტიკის მაგალითები, რომლებიც გამოიყენება შეფასებების გადატანის დროის დასადგენად:

ა) მოვლენის, ან იმ გარემოებების ცვლილების თარიღი, რამაც გამოიწვია შეფასების გადატანა (გადანაცვლება);

ბ) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი;

გ) საანგარიშგებო პერიოდის დასასრული.

96. თუ საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში, გადაწყვეტს 48-ე პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი მიდგომის გამოყენებას, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

97. თითოეული კლასის აქტივებისა და ვალდებულებების მიხედვით, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული არ არის სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ მათი სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია განმარტებით შენიშვნებში, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს 93(ბ), (დ) და (ი) ქვეპუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია. თუმცა, საწარმოს არ ევალება 93 (დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნება მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ, რომლებიც გამოიყენა სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებში. ამგვარი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ საწარმოს არ ევალება წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული სხვა განმარტებითი ინფორმაციის გამჟღავნება.

98. ისეთ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და გამოშვებულია განუყოფელი მოთხოვნის თანხლებით იმის შესახებ, რომ ემიტენტმა უნდა უზრუნველყოს მესამე მხარისთვის საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარება, ემიტენტმა უნდა გაამჟღავნოს ამგვარი მოთხოვნის არსებობის ფაქტი და გაითვალისწინა თუ არა ეს მოთხოვნა ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში.

99. საწარმომ წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული რაოდენობრივი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ცხრილის ფორმატით, თუ რაიმე სხვა ფორმატი უფრო მისაღები არ არის კონკრეტულ გარემოებებში.

 © IFRS Foundation

# დანართი ა

# ტერმინების განმარტება

*ეს დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.*

| | |
|---|---|
| აქტიური ბაზარი | ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. |
| დანახარჯების მიდგომა | შეფასების მეთოდი, რომელიც ასახავს თანხას, რომელიც საჭირო იქნებოდა მიმდინარე მომენტში აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის ჩასანაცვლებ-ლად (ხშირად უწოდებენ ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებას). |
| შემოსვლის ფასი | ფასი, რომელიც გადაიხადეს აქტივის შესაძენად, ან მიიღეს ვალდებულების ასაღებად გაცვლის ოპერაციაში. |
| გასვლის ფასი | ფასი, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვისას, ან, რომელიც გადასახდელი იქნება ვალდებულების გადაცემისას. |
| მოსალოდნელი ფულადი ნაკადი | მომავალი შესაძლო ფულადი ნაკადების ალბათობებით შეწონილი საშუ-ალო (ე.ი განაწილების საშუალო). |
| სამართლიანი ღირებულება | ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. |
| მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება | ბაზრის მონაწილეების მიერ არაფინანსური აქტივის იმგვარი გამოყენება, რაც მაქსიმალურად გაზრდიდა აქტივის, ან აქტივებისა და ვალდებუ-ლებების იმ ჯგუფის (მაგალითად, საწარმოს) ღირებულებას, სადაც გამოყენებული იქნებოდა მოცემული აქტივი. |
| შემოსავლის მიდგომა | შეფასების მეთოდები, რომლებიც მომავალ თანხებს (მაგალითად, ფულად ნაკადებს, ან შემოსავლებსა და ხარჯებს) გარდაქმნის ერთ მიმდინარე (ე.ი. დისკონტირებულ) თანხად. სამართლიანი ღირებულების შეფასება განისა-ზღვრება იმ ღირებულების საფუძველზე, რომელიც გაითვალისწინება მიმდინარე ბაზრის მოლოდინებში მომავალი თანხების შესახებ. |
| ამოსავალი მონაცემები | დაშვებები, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, მათ შორის დაშვებები რისკის შესახებ, როგორიცაა, მაგალითად:<br>ა) სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების კონკრეტული მეთოდისთვის (როგორიცაა, მაგალითად ფასწარმოქმნის მოდელი) დამახასიათებელი თანდაყოლილი რისკი; და<br>ბ) შეფასების მეთოდში გამოსაყენებელი ამოსავალი მონაცემებისთვის დამახასიათებელი რისკი.<br>ამოსავალი მონაცემები შეიძლება იყოს ემპირიული (დაკვირვებადი), ან არაემპირიული. |
| 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები | იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტი-რებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუ-ძლია შეფასების თარიღისთვის. |

| | |
|---|---|
| **მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები** | 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ. |
| **მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები** | არაემპირიული ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულების შესახებ. |
| **საბაზრო მიდგომა** | შეფასების მეთოდი, რომელშიც გამოიყენება ისეთი ფასები და სხვა შესაფერისი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია იდენტური, ან შესადარისი (ე.ი. ანალოგიური) აქტივების, ვალდებულებების, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფით (როგორიცაა საწარმო) შესრულებული საბაზრო ოპერაციებიდან. |
| **საბაზრო ინფორმაციით დადასტურებული ამოსავალი მონაცემები** | ამოსავალი მონაცემები, რომლებიც, ძირითადად, მიიღება ემპირიული საბაზრო მონაცემებიდან, ან დასტურდება ემპირიული საბაზრო მონაცემებით, კორელაციით, ან სხვა საშუალებით. |
| **ბაზრის მონაწილე** | აქტივის ან ვალდებულების ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზრის მყიდველები და გამყიდველები, რომლებსაც ახასიათებთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშანი:<br>ა) ერთმანეთისგან დამოუკიდებლები არიან, ე.ი. არ არიან ერთმანეთისთვის დაკავშირებული მხარეები, ბასს 24-ში მოცემული განმარტების შესაბამისად. თუმცა, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად შესაძლებელია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციის ფასის გამოყენება ამოსავალ მონაცემად, თუ საწარმოს გააჩნია მტკიცებულებები, რომ ოპერაცია განხორციელდა საბაზრო პირობებით;<br>ბ) კარგად ინფორმირებულები არიან, საკმარისად ნათელი წარმოდგენა აქვთ აქტივის ან ვალდებულებისა და ოპერაციის შესახებ ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომლის მიღებაც შესაძლებელია სტანდარტული და საყოველთაოდ აღიარებული სპეციალური შემოწმების ჩატარებით;<br>გ) შეუძლიათ მოცემული აქტივით ან ვალდებულებით შესრულებულ ოპერაციაში მონაწილეობა;<br>დ) სურთ მოცემული აქტივით ან ვალდებულებით შესრულებულ ოპერაციაში მონაწილეობა, ე.ი. ისინი რაიმე მიზეზით იძულებულები კი არ არიან, არამედ მოტივირებულები არიან, მონაწილეობა მიიღონ ამ ოპერაციაში. |
| **ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი** | ბაზარი, რომელიც საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად გაიზარდოს ის თანხა, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან მაქსიმალურად შემცირდეს თანხა, რომელიც გადასახდელი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას, საოპერაციო დანახარჯებისა და ტრანსპორტირების დანახარჯების გათვალისწინების შემდეგ. |
| **ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი** | რისკი იმისა, რომ საწარმო ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი, სხვასთან ერთად, მოიცავს საწარმოს საკუთარ საკრედიტო რისკსაც. |
| **ემპირიული ამოსავალი მონაცემები** | ამოსავალი მონაცემები, რომლებიც დამუშავებულია საბაზრო მონაცემების გამოყენებით, როგორიცაა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია ფაქტობრივი მოვლენებისა თუ ოპერაციების შესახებ და ასახავს იმ დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას. |

 © IFRS Foundation

| | |
|---|---|
| **ნებაყოფლობითი ოპერაცია** | ოპერაცია, რომელიც ბაზარზე განხორციელდა შეფასების თარიღამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც ამგვარი აქტივებისა და ვალდებულებებით ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო ტიპური და საყოველთაოდ მიღებული მარკეტინგული ღონისძიებების გატარების საშუალებას იძლევა; ეს არ არის ძალდატანებითი ოპერაცია (მაგალითად, ძალდატანებითი ლიკვიდაცია, ან იძულებითი გაყიდვა). |
| **ძირითადი ბაზარი** | ბაზარი, სადაც ყველაზე დიდი მოცულობისა და დონის საქმიანობა ხორციელდება მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით. |
| **რისკის პრემია** | კომპენსაცია, რომელსაც მოითხოვენ რისკის მოწინააღმდეგე ბაზრის მონაწილეები აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობით განპირობებული რისკის თავის თავზე აღების გამო. ასევე უწოდებენ „კორექტირებას რისკის გათვალისწინებით“. |
| **საოპერაციო დანახარჯები** | მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემისთვის საჭირო დანახარჯები, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის გასვლის, ან გადაცემის პროცესთან და აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:<br>ა) წარმოიშობა უშუალოდ მოცემული ოპერაციიდან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;<br>ბ) საწარმოს არ მოუწევდა ამ დანახარჯების გაწევა, თუ არ გადაწყვეტდა მოცემული აქტივის გაყიდვას, ან მოცემული ვალდებულების გადაცემას (გაყიდვის დანახარჯების ანალოგიურად, როგორც ეს განმარტებულია ფასს 5-ში). |
| **ტრანსპორტირების დანახარჯები** | დანახარჯები, რომლის გაწევაც აუცილებელი იქნება აქტივის ტრანსპორტირებისთვის მისი მოცემული ადგილსამყოფელიდან ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზრამდე. |
| **სააღრიცხვო ერთეული** | აქტივის ან ვალდებულების აგრეგირების ან დეზაგრეგირების აუცილებელი დონე, ფასს სტანდარტების შესაბამისად მისი აღიარების მიზნებისთვის. |
| **არაემპირიული ამოსავალი მონაცემები** | ამოსავალი მონაცემები, რომლის დასამუშავებლად არ არსებობს საბაზრო მონაცემები და დამუშავებულია ყველანაირი ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე იმ დაშვებების შესახებ, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის, ან ვალდებულების ფასის დადგენისას. |

© IFRS Foundation

# დანართი ბ

# მითითებები გამოყენებაზე

*ეს დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია. მასში აღწერილია 1-99-ე პუნქტების პრაქტიკული გამოყენება და იგივე ძალა აქვს, რაც მოცემული სტანდარტის სხვა ნაწილებს.*

ბ1. სხვადასხვა სიტუაციაში შეფასებების განხორციელებას შეიძლება განსხვავებული მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება დასჭირდეს. ამ დანართში განხილულია განსხვავებული მსჯელობა, რომლის გამოყენებაც საწარმოს შეუძლია სხვადასხვა სიტუაციაში სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

## სამართლიანი ღირებულებით შეფასების მიდგომა

ბ2. სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია, განისაზღვროს ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ან, რომელიც გადასახდელი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს, მიმდინარე საბაზრო პირობებში. სამართლიანი ღირებულების შეფასება საწარმოსგან მოითხოვს ყველა შემდეგი მომენტის დადგენას:

ა) კონკრეტული აქტივი ან ვალდებულება, რომელიც უნდა შეფასდეს (მისი სააღრიცხვო ერთეულის შესაბამისად);

ბ) არაფინანსური აქტივისთვის – შეფასების წინაპირობა, რომელიც მისაღებია მოცემული შეფასებისთვის (აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების შესაბამისად);

გ) აქტივის ან ვალდებულების ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზარი;

დ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის მისაღები შეფასების მეთოდ(ებ)ი, ამ მეთოდ(ებ)ის ამოსავალი მონაცემების დასამუშავებლად საჭირო მონაცემების არსებობის გათვალისწინებით, ანუ დაშვებების, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დასადგენად და ასევე სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მოცემული ამოსავალი მონაცემები მიეკუთვნება.

## არაფინანსური აქტივების შეფასების წინაპირობა (31-33-ე პუნქტები)

ბ3. როდესაც საწარმო აფასებს ისეთი არაფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას, რომელიც სხვა აქტივებთან ერთად გამოიყენება, როგორც აქტივთა ჯგუფი (დამონტაჟებული, ან რაიმე სხვა გზით მოყვანილი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ მდგომარეობაში), ან გამოიყენება სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად (მაგალითად, როგორც საწარმო), შეფასების წინაპირობის გავლენა დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე. მაგალითად:

ა) აქტივის სამართლიანი ღირებულება შეიძლება ერთნაირი იყოს, იმის მიუხედავად, ცალკე გამოიყენება თუ სხვა აქტივებთან, ან აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ აქტივი წარმოადგენს ბიზნესს (საწარმოს), რომლის მართვასაც გააგრძელებდნენ ბაზრის მონაწილეები. ასეთ შემთხვევაში, ოპერაცია მოიცავს მთელი ბიზნესის (საწარმოს) შეფასებას. აქტივების, როგორც ჯგუფის გამოყენება მოქმედი საწარმოს ფარგლებში წარმოქმნის სინერგიას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბაზრის მონაწილეებისთვის (ე.ი. ბაზრის მონაწილეთა სინერგია, რომელმაც, შესაბამისად, გავლენა უნდა იქონიოს აქტივის სამართლიან ღირებულებაზე, რომელიც ან ცალკე ამ აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება იქნება, ან სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთობლივად შეფასებული);

ბ) აქტივის გამოყენება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად სამართლიანი ღირებულების შეფასებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს აქტივის ცალკე გამოყენების ღირებულების კორექტირების მეშვეობით. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ აქტივი არის მანქანა-დანადგარი და მისი სამართლიანი ღირებულების შეფასება განისაზღვრება ანალოგიური მანქანა-დანადგარის ემპირიული ფასის მიხედვით (რომელიც დამონტაჟებული არ არის და არც რაიმე სხვა გზით არის მოყვანილი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ მდგომარეობაში), რომელიც კორექტირებულია ტრან-


© IFRS Foundation

სპორტირებისა და დამონტაჟების დანახარჯებით, რათა სამართლიანი ღირებულების შეფასება ასახავდეს მანქანა-დანადგარის (რომელიც დამონტაჟებულია და მოყვანილია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ მდგომარეობაში) მიმდინარე მდგომარეობას და ადგილმდებარეობას;

გ) აქტივის გამოყენება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად სამართლიანი ღირებულების შეფასებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს ბაზრის მონაწილეთა დაშვებების მეშვეობით, რომლებიც გამოყენებული იყო აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. მაგალითად, თუ აქტივი წარმოადგენს უნიკალურ დაუმთავრებელ მარაგს და ბაზრის მონაწილეებს მოუწევდათ მისი გარდაქმნა მზა პროდუქციად, მაშინ ამგვარი მარაგის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული იქნება დაშვება იმის შესახებ, რომ ბაზრის მონაწილეებმა შეიძინეს ან შეიძენენ რაღაც სპეციალიზებულ მანაქანა-დანადგარს, რომელიც აუცილებელია ამ მარაგის მზა პროდუქციად გარდასაქმნელად;

დ) აქტივის გამოყენება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად სამართლიანი ღირებულების შეფასებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეფასების რომელიმე მეთოდის მეშვეობით, რომელიც გამოყენებული იყო მოცემული აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. ასე შეიძლება მაშინ მოხდეს, როდესაც არამატერიალური აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო მრავალპერიოდიანი ნამეტი შემოსავლების მეთოდი, ვინაიდან შეფასების ეს მეთოდი კონკრეტულად ითვალისწინებს იმ წვლილს, რომელიც დამატებით აქტივებსა და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შეაქვს ჯგუფში, სადაც გამოყენებული იქნება ამგვარი არამატერიალური აქტივი;

ე) როდესაც საწარმო აქტივს იყენებს აქტივების ჯგუფის ფარგლებში, საწარმომ იშვიათ სიტუაციებში, შეიძლება აქტივი შეაფასოს ისეთი თანხით, რომელიც მიახლოებით უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას, როდესაც აქტივების ჯგუფის სამართლიან ღირებულებას ანაწილებს ჯგუფის შემადგენლობაში მყოფ ინდივიდუალურ აქტივებზე. მაგალითად, როდესაც შეფასება ეხება უძრავ ქონებას და გაუმჯობესებული ქონების (ე.ი. აქტივების ჯგუფის) სამართლიანი ღირებულება ნაწილდება მის შემადგენელ აქტივებზე (როგორიცაა მიწა და კეთილმოწყობის ელემენტები).

## სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას (57-60-ე პუნქტები)

ბ4. როდესაც საწარმო ადგენს, თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება ტოლია თუ არა ოპერაციის ფასის, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც მხოლოდ მოცემული ოპერაციისა და აქტივის, თუ ვალდებულებისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ოპერაციის ფასი შეიძლება არ ასახავდეს აქტივის ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ა) ოპერაცია შესრულებულია დაკავშირებულ მხარეებს შორის, თუმცა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციის ფასის გამოყენება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში ამოსავალ მონაცემად, თუ საწარმოს გააჩნია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ოპერაცია შესრულდა საბაზრო პირობებით;

ბ) ოპერაცია სრულდება ძალდატანებით, ან გამყიდველი იძულებულია დაეთანხმოს ოპერაციის ფასს. მაგალითად, ასე შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ გამყიდველს ფინანსური პრობლემები აქვს;

გ) ოპერაციის ფასით გათვალისწინებული სააღრიცხვო ერთეული განსხვავდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივის ან ვალდებულების სააღრიცხვო ერთეულისგან. მაგალითად, ასე შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივი ან ვალდებულება ოპერაციის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია (მაგალითად, საწარმოთა გაერთიანებაში), ოპერაცია (გარიგება) მოიცავს ისეთ უფლებებსა და პრივილეგიებს, რაც ცალკე შეფასდება რომელიმე სხვა სტანდარტის შესაბამისად, ან ოპერაციის ფასი მოიცავს საოპერაციო დანახარჯებს;

დ) ბაზარი, სადაც ხორციელდება ოპერაცია, არ არის ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზარი. მაგალითად, ეს ბაზრები შეიძლება სხვადასხვა იყოს, თუ საწარმო არის დილერი, რომელიც მომხმარებლებთან ოპერაციებში მონაწილეობს საცალო ბაზარზე, მაგრამ ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზარი გასვლის ოპერაციისთვის არის სხვა დილერებთან განხორციელებული ოპერაცია დილერულ ბაზარზე.

## შეფასების მეთოდები (61-66-ე პუნქტები)

### საბაზრო მიდგომა

ბ5. საბაზრო მიდგომაში გამოიყენება ის ფასები და სხვა შესაფერისი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია იდენტური ან შესადარისი (ე.ი. ანალოგიური) აქტივების, ვალდებულებების, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფით (როგორიცაა საწარმო) განხორციელებული საბაზრო ოპერაციების შედეგად.

ბ6. მაგალითად, შეფასების მეთოდებში, რომლებიც საბაზრო მიდგომას მიესადაგება, ხშირად გამოიყენება საბაზრო მულტიპლიკატორი, რომელიც მიიღება შესადარისი მაჩვენებლების გარკვეული ერთობლიობისგან. ცალკეული შესადარისი მაჩვენებლისთვის მულტიპლიკა-ტორები შეიძლება მულტიპლიკატორების სხვადასხვა დიაპაზონში იყოს. ამ დიაპაზონიდან შესაფერისი მულტიპლიკატორის შერჩევას განსჯა და გადაწყვეტილების მიღება ესაჭიროება, კერძოდ, კონკრეტული შეფასებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების განხილვა.

ბ7. შეფასების საბაზრო მიდგომის ერთ-ერთი მეთოდია მატრიცული ფასდადგენის მეთოდი. მატრიცული ფასდადგენის მეთოდი არის მათემატიკური მეთოდი, რომელიც, ძირითადად, გამოიყენება ზოგიერთი ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების შესაფასებლად, როგორიცაა, მაგალითად სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელიც მარტო გარკვეული ფასიანი ქაღალდების კოტირებულ ფასებს კი არ იყენებს, არამედ ეყრდნობა ფასიანი ქაღალდების თანაფარდობას სხვა საორიენტაციო (საბაზისო) კოტირებულ ფასიან ქაღალდებთან.

### დანახარჯების მიდგომა

ბ8. დანახარჯების მიდგომა ასახავს თანხას, რომელიც საჭირო იქნებოდა მიმდინარე მომენტში აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის ჩასანაცვლებლად (ხშირად უწოდებენ ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებას).

ბ9. ბაზრის მონაწილე გამყიდველის პოზიციიდან, ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ეყრდნობა იმ თანხას (ღირებულებას), რომელსაც ბაზრის მონაწილე მყიდველი გადაიხდის შესადარისი სარგებლიანობის მქონე შემცვლელი აქტივის შესაძენად, ან ასაშენებლად, მორალური ცვეთის (მოძველების) გათვალისწინებით. ამის მიზეზი ისაა, რომ ბაზრის მონაწილე მყიდველი არ გადაიხდის აქტივის შესაძენად იმაზე მეტს, რა თანხაც დაუჯდებოდა მოცემული აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის ჩანაცვლება. მორალური ცვეთა (მოძველება) მოიცავს აქტივის ფიზიკურ დაზიანებას, ფუნქციურ (ტექნოლოგიურ) მოძველებას და ეკონომიკურ (გარეგნულ) დაძველებას და უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცვეთა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის მიზნებისთვის (პირვანდელი ღირებულების განაწილება), ან საგადასახადო მიზნებისთვის (სასარგებლო მომსახურების დადგენილი ვადების გამოყენება). ბევრ შემთხვევაში, ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულების მეთოდი გამოიყენება ისეთი მატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების შესა-ფასებლად, რომლებიც გამოიყენება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდე-ბულებებთან ერთად.

### შემოსავლების მიდგომა

ბ10. შემოსავლების მიდგომის დროს მომავალი პერიოდის თანხები (მაგალითად, ფულადი ნაკადები, ან შემოსავლები და ხარჯები) გარდაიქმნება ერთ მიმდინარე (ე.ი. დისკონტირებულ) თანხად. როდესაც საწარმო შემოსავლების მიდგომას იყენებს, სამართლიანი ღირებულების შეფასება ასახავს მიმდინარე ბაზრის მოლოდინებს მომავალი თანხების შესახებ.

 © IFRS Foundation

ბ11. შეფასების ამგვარ მეთოდებს განეკუთვნება, მაგალითად:

ა) დღევანდელი ღირებულების მეთოდები (იხ. ბ12-ბ30 პუნქტები);

ბ) ოფციონის ფასდადგენის მოდელები, როგორიცაა ბლექ-შოლს-მერტონის ფორმულა, ან ბინომიალური მოდელი (ე.ი. სტრუქტურული მოდელი), რომლებიც მოიცავს დღევანდელი ღირებულების მეთოდებს და ასახავს როგორც ოფციონის დროით ღირებულებას, ასევე ოფციონის საკუთარ ღირებულებას; და

გ) მრავალპერიოდიანი ნამეტი შემოსავლების მეთოდი (დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის ერთ-ერთი ნაირსახეობა), რომელიც გამოიყენება ზოგიერთი არამა-ტერიალური აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

**დღევანდელი ღირებულების მეთოდები**

ბ12. ბ13-ბ30 პუნქტებში აღწერილია, როგორ გამოიყენება სამართლიანი ღირებულების შესაფა-სებლად დღევანდელი ღირებულების მეთოდები. ამ პუნქტებში ყურადღება გამახვილებულია დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდებსა და *მოსალოდნელი ფულადი ნაკადის* (მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების) მეთოდზე. ამ პუნქტებში მითითებული არ არის, რომ განხილული მეთოდებიდან სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად სავალდებულოა დღევანდელი ღირებულების რომელიმე ერთი მეთოდის გამოყენება, ან შეზღუდულია სხვა მეთოდების გამოყენება. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოსაყენებელი დღევანდელი ღირებულების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია შესაფასებელი აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფაქტებსა და გარემოებებსა (მაგალითად, შესაძლებელია თუ არა შესადარის აქტივებსა და ვალდებულებებზე დაკვირვება ბაზარზე) და საკმარისი მონაცემების არსებობაზე.

**დღევანდელი ღირებულებით შეფასების კომპონენტები**

ბ13. დღევანდელი ღირებულება (ე.ი. შემოსავლების მიდგომის გამოყენება) წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება მომავალი პერიოდების თანხების (მაგალითად, ფულადი ნაკადები, ან ღირებულებები) დასაკავშირებლად არსებულ თანხასთან, დისკონტირების განა-კვეთის მეშვეობით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა დღევანდელი ღირებულების მეთოდებით მოიცავს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ ელემენტს, ბაზრის მონაწილეთა პოზიციიდან შეფასების თარიღისთვის:

ა) შესაფასებელი აქტივის ან ვალდებულებიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკა-დების შეფასება;

ბ) მოლოდინებს თანხის შესაძლო ცვალებადობისა და ფულადი ნაკადების მიღების დროის შესახებ, რაც ასახავს ამ ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელ განუსაზღვრელობას;

გ) ფულის დროითი ღირებულება, რაც წარმოდგენილია ურისკო ფულადი აქტივების განაკვეთით, რომელთა დაფარვის, ან მოქმედების ვადა ემთხვევა ფულადი ნაკადებით მოცულ პერიოდს და რომლებიც მისი მფლობელისთვის არ წარმოქმნის არანაირ განუსაზ-ღვრელობას, ფულადი სახსრების მიღების ვადების თვალსაზრისით და მას არც გადახდისუუნარობის რისკზე არ ხდის დაქვემდებარებულს (ე.ი. ურისკო საპროცენტო განაკვეთი);

დ) ფასი, რომელსაც უხდიან ბაზრის მონაწილეს ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის საკუთარ თავზე აღებისთვის (ე.ი. *რისკის პრემია*);

ე) სხვა ფაქტორები, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ მოცემულ გარემოებებში;

ვ) ვალდებულებისთვის – მოცემულ ვალდებულებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი, მათ შორის საწარმოს (ე.ი. საწარმო, რომელიც იღებს ვალდებულებას) საკუთარი საკრედიტო რისკი.

*საერთო პრინციპები*

ბ14. დღევანდელი ღირებულების მეთოდები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, როგორ გამოიყენება მეთოდში ბ13 პუნქტში ჩამოთვლილი ელემენტები. თუმცა, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად დღევანდელი ღირებულების ნებისმიერი მეთოდის გამოყენებას ახასიათებს შემდეგი საერთო პრინციპები:

ა) ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები უნდა ასახავდეს იმ დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას;

ბ) ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები მხოლოდ ისეთ ფაქტორებს უნდა ითვალისწინებდეს, რომლებიც მიეკუთვნება შესაფასებელ აქტივს ან ვალდებულებას;

გ) იმისთვის, რომ არ მოხდეს რისკის ფაქტორების ორმაგად გათვალისწინება, ან საწარმოს არ გამორჩეს რისკების გავლენის გათვალისწინება, დისკონტირების განაკვეთები უნდა ასახავდეს ისეთ დაშვებებს, რომლებიც თავსებადია ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი დაშვებების. მაგალითად, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების გამოყენებისას, მისაღები იქნება ისეთი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც ასახავს ვალდებულების არშესრულების მოლოდინთან დაკავშირებულ მომავალ განუსაზღვრელობას (ე.ი. დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდი). იმავე დისკონტირების განაკვეთის გამოყენება არ შეიძლება მოსალოდნელი (ე.ი. ალბათობებით შეწონილი) ფულადი ნაკადების (ე.ი. მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდი) გამოყენების შემთხვევაში, ვინაიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები უკვე ასახავს დაშვებებს, ვალდებულების არშესრულების მოლოდინთან დაკავშირებული მომავალი განუსაზღვრელობის შესახებ; ამის ნაცვლად, საწარმომ უნდა გამოიყენოს ისეთი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც შეესაბამება მომავალი ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელ რისკს;

დ) ფულადი ნაკადებისა და დისკონტირების განაკვეთების შესახებ დაშვებები ერთმანეთთან თავსებადი უნდა იყოს. მაგალითად, ნომინალური ფულადი ნაკადები, რომელიც ინფლაციის გავლენას ითვალისწინებს, ისეთი დისკონტირების განაკვეთით უნდა იყოს დისკონტირებული, რომელიც ითვალისწინებს ინფლაციის გავლენას. ნომინალური ურისკო საპროცენტო განაკვეთი ითვალისწინებს ინფლაციის გავლენას. ფაქტობრივი ფულადი ნაკადები, რომელიც ინფლაციის გავლენას ითვალისწინებს, ისეთი განაკვეთით უნდა იყოს დისკონტირებული, რომელიც ითვალისწინებს ინფლაციის გავლენას. ანალოგიურად, დაბეგვრის შემდგომი ფულადი ნაკადები დისკონტირებული უნდა იყოს დაბეგვრის შემდგომი დისკონტირების განაკვეთით. დაბეგვრამდელი ფულადი ნაკადები დისკონტირებული უნდა იყოს ისეთი განაკვეთით, რომელიც ამ ფულად ნაკადებს შეესაბამება;

ე) დისკონტირების განაკვეთები უნდა ითვალისწინებდეს იმ ვალუტასთან დაკავშირებულ ძირითად ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლითაც გამოსახულია ფულადი ნაკადები.

*რისკი და განუსაზღვრელობა*

ბ15. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდებით სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება განუსაზღვრელობის პირობებში, რადგან გამოყენებული ფულადი ნაკადები შეფასებული სიდიდეებია და არა ცნობილი თანხები. ბევრ შემთხვევაში, გაურკვეველია, როგორც ფულადი ნაკადების ოდენობა, ასევე მათი მიღების ვადები. მაშინაც კი, როდესაც ფულადი ნაკადები ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, მაგალითად სესხთან დაკავშირებით გადასახდელი თანხები, მათი ოდენობა მაინც გაურკვეველია, თუ არსებობს გადახდისუუნარობის რისკი.

ბ16. საზოგადოდ, ბაზრის მონაწილეები ითხოვენ კომპენსაციას (ე.ი. რისკის პრემიას) აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის საკუთარ თავზე აღებისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული უნდა იყოს რისკის პრემია, რომელიც ასახავს თანხას, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოითხოვდნენ ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის კომპენსაციისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფასება ვერ იქნება სამართლიანი ღირებულების ადეკვატური. ზოგ შემთხვევაში, რისკის პრემიის სათანადო ოდენობის განსაზღვრა შეიძლება

 © IFRS Foundation

რთული იყოს. თუმცა, თავისთავად, მარტო სირთულის ხარისხი არ არის საკმარისი მიზეზი იმისა, რომ სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული არ იყოს რისკის პრემია.

ბ17. დღევანდელი ღირებულების მეთოდები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რამდენად არის შეფასება კორექტირებული რისკის გათვალისწინებით და რა ტიპის ფულადი ნაკადები გამოიყენება მოცემულ მეთოდში. მაგალითად:

ა) დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში (იხ. ბ18-ბ22 პუნქტები) გამოიყენება რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი და სახელშეკრულებო, დათქმული, ან ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფულადი ნაკადები;

ბ) მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების 1-ელ მეთოდში (იხ. ბ25 პუნქტი) გამოიყენება რისკის გათვალისწინებით კორექტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და ურისკო განაკვეთი;

გ) მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მე-2 მეთოდში (იხ. ბ26 პუნქტი) გამოიყენება ფულადი ნაკადები, რომლებიც კორექტირებული არ არის რისკის გათვალისწინებით და დისკონტირების განაკვეთი, რომელიც კორექტირებულია რისკის პრემიის გათვალისწინებით, რომელსაც მოითხოვენ ბაზრის მონაწილეები. ასეთი განაკვეთი განსხვავდება იმ განაკვეთისგან, რომელიც გამოიყენება დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში.

### *დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდი*

ბ18. დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში გამოიყენება ფულადი ნაკადების ერთი ნაკრები, შესაძლო შეფასებული სიდიდეების დიაპაზონიდან (მწკრივიდან), როგორიცაა სახელშკრულებო, დათქმული (როგორც ობლიგაციის შემთხვევაში), ან ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფულადი ნაკადები. ყველა შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადები პირობითია და დამოკიდებულია გარკვეული მოვლენების მოხდენაზე (მაგალითად, ობლიგაციასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო, ან დათქმული ფულადი ნაკადები პირობითია და დამოკიდებულია მოვლენაზე, როგორიცაა დებიტორის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი). ამ მეთოდში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრება იმ შესადარისი აქტივების, ან ვალდებულებების ემპირიული უკუგების განაკვეთების მიხედვით, რომლებიც მიმოიქცევა ბაზარზე. შესაბამისად, სახელშეკრულებო, დათქმული, ან ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ამგვარი პირობითი ფულადი ნაკადების ემპირიული, ან შეფასებული (გამოთვლილი) საბაზრო განაკვეთებით (ე.ი. უკუგების საბაზრო განაკვეთით).

ბ19. დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდის გამოსაყენებლად საჭიროა შესადარისი აქტივების, ან ვალდებულებების შესახებ არსებული საბაზრო მონაცემების ანალიზის ჩატარება. შესადარისობა დგინდება ფულადი ნაკადების ხასიათის განხილვით (მაგალითად, ფულადი ნაკადები გათვალისწინებულია თუ არა ხელშეკრულებაში და ალბათობა იმისა, ანალოგიურად მოახდენს თუ არა ისინი რეაგირებას ეკონომიკური პირობების ცვლილებებზე), ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (მაგალითად, საკრედიტო რეპუტაცია, უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ქონება, ვადები, შემზღუდავი პირობები და ლიკვიდობა). მეორე მხრივ, თუ ერთი შესადარისი აქტივი ან ვალდებულება სარწმუნოდ არ ასახავს შესაფასებელ აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელ რისკს, დისკონტირების განაკვეთის დადგენა შესაძლებელია რამდენიმე შესადარისი აქტივის ან ვალდებულების შესახებ არსებული მონაცემებისა და ურისკო შემოსავლიანობის მრუდის მეშვეობით (ე.ი. ე.წ. კუმულაციური მეთოდით).

ბ20. დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრის კუმულაციური მეთოდის საილუსტრაციოდ, დავუშვათ, რომ „ა“ აქტივი არის ერთ წელიწადში 800 ფე-ის[1] მიღების სახელშეკრულებო უფლება (ე.ი. არ არსებობს ვადებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა). არსებობს შესადარისი აქტივების ფორმირებული ბაზარი და ამ აქტივების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ფასის შესახებ. ამ შესადარისი აქტივებიდან:

---

1. ამ სტანდარტში ფულადი თანხები გამოსახულია „ფულად ერთეულებში“ (ფე).

ა) „ბ“ აქტივი არის ერთ წელიწადში 1,200 ფე-ის მიღების სახელშეკრულებო უფლება და მისი საბაზრო ფასია 1,083 ფე. ამგვარად, უკუგების ნაგულისხმევი წლიური განაკვეთი (ე.ი. ერთი წლის უკუგების საბაზრო განაკვეთი) არის 10.8 % [(1,200 ფე/1,083 ფე) – 1];

ბ) „გ“ აქტივი არის ერთ წელიწადში 700 ფე-ის მიღების სახელშეკრულებო უფლება და მისი საბაზრო ფასია 566 ფე. ამგვარად, უკუგების ნაგულისხმევი წლიური განაკვეთი (ე.ი. ორი წლის უკუგების საბაზრო განაკვეთი) არის 11.2 % [(700 ფე/566 ფე)^0.5 – 1];

გ) სამივე აქტივი შესადარისია რისკის თვალსაზრისით (ე.ი. შესაძლო გადახდებისა და კრედიტის დისპერსია).

ბ21. „ა“ აქტივის სახელშეკრულებო თანხის მიღების ვადის შედარების შედეგად „ბ“ და „გ“ აქტივების სახელშეკრულებო თანხების მიღების ვადებთან (ე.ი. „ბ“ აქტივისთვის ერთი წელი და „გ“ აქტივისთვის – ორი წელი), „ა“ აქტივისთვის უფრო შესადარისად მიიჩნევა „ბ“ აქტივი. თუ გამოვიყენებთ „ა“ აქტივიდან ხელშეკრულების თანახმად მისაღებ თანხას (800 ფე) და „ბ“ აქტივთან დაკავშირებულ ერთი წლის საბაზრო განაკვეთს (10.8 %), „ა“ აქტივის სამართლიანი ღირებულება იქნება 722 ფე (800 ფე /1.108). მეორე მხრივ, თუ არ იარსებებდა საბაზრო ინფორმაცია „ბ“ აქტივის შესახებ, ერთი წლის საბაზრო განაკვეთის განსაზღვრა შესაძლებელი იქნებოდა „გ“ აქტივის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კუმულაციური მეთოდით. ასეთ შემთხვევაში, „გ“ აქტივთან დაკავშირებული ორი წლის საბაზრო განაკვეთი (11.2%) გაკორექტირდება ერთი წლის საბაზრო განაკვეთის დასადგენად, ურისკო შემოსავლიანობის მრუდის ვადების სტრუქტურის გამოყენებით. შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზის ჩატარება იმის დასადგენად, ერთი და იგივე არის თუ არა რისკის პრემიები ერთწლიანი და ორწლიანი აქტივებისთვის. თუ დადგინდება, რომ ერთწლიანი და ორწლიანი აქტივებისთვის რისკის პრემიები ერთნაირი არ არის, ორი წლის უკუგების საბაზრო განაკვეთი დამატებით კიდევ უნდა გაკორექტირდეს ამგვარი გავლენის გასათვალისწინებლად.

ბ22. როდესაც დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდი გამოიყენება მისაღები, ან გადასახდელი ფიქსირებული ფულადი სახსრების მიმართ, დისკონტირების განაკვეთში გაითვალისწინება შესაფასებელ აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი რისკი. ზოგ შემთხვევაში, როდესაც დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდი გამოიყენება ისეთ ფულად ნაკადებთან მიმართებით, რომლებიც არ არის მისაღები, ან გადასახდელი ფიქსირებული ფულადი სახსრები, შეიძლება საჭირო გახდეს ფულადი ნაკადების კორექტირება იმ ემპირიულ აქტივთან, ან ვალდებულებასთან შესადარისობის მისაღწევად, რომლის ინფორმაციის საფუძველზეც განისაზღვრა დისკონტირების განაკვეთი.

### *მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდი*

ბ23. მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდში ამოსავალ ბაზად გამოიყენება ფულადი ნაკადების ნაკრები, რომელიც წარმოადგენს ყველა მომავალი შესაძლო ფულადი ნაკადის ალბათობებით შეწონილ საშუალო მნიშვნელობას (ე.ი. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები). მიღებული შეფასება იდენტურია მოსალოდნელი ღირებულების, რომელიც სტატისტიკური ტერმინებით წარმოადგენს დისკრეტული შემთხვევითი ცვლადის მოსალოდნელი ღირებულებების (მნიშვნელობების) საშუალო შეწონილ მნიშვნელობას, რომელიც შეწონილია შესაბამისი ალბათობებით. ვინაიდან ყველა მოსალოდნელი ფულადი ნაკადი ალბათობებით არის შეწონილი, გამოთვლილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადი არ არის პირობითი და დამოკიდებული რაიმე კონკრეტული მოვლენის მოხდენაზე (იმ ფულადი ნაკადებისგან განსხვავებით, რომლებიც გამოიყენება დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში).

ბ24. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას რისკის მოწინააღმდეგე ბაზრის მონაწილეები მხედველობაში მიიღებდნენ იმის რისკს, რომ ფაქტობრივი ფულადი ნაკადები შეიძლება განსხვავდებოდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისგან. პორტფელის შერჩევის თეორიაში განასხვავებენ ორი ტიპის რისკს:

ა) არასისტემურ (დიფერენცირებად) რისკს, ანუ რისკს, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული აქტივის ან ვალდებულებისთვის;

ბ) სისტემურ (არადიფერენცირებად) რისკს, ანუ საერთო რისკს, რომელიც ეხება დივერსიფიცირებული პორტფელის ყველა აქტივს, ან ვალდებულებას და ასევე მის სხვა ელემენტებს.

პორტფელის შერჩევის თეორიაში მიიჩნევა, რომ გაწონასწორებულ ბაზარზე, ბაზრის მონაწილეებს უნაზღაურდებათ მხოლოდ ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი სისტემური რისკის საკუთარ თავზე აღება (ბაზრებზე, რომლებიც არ არის ეფექტური, ან გაწონასწორებული, შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სხვა ფორმის კომპენსაცია ან შემოსავლები).

ბ25. მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების 1-ლი მეთოდის დროს აქტივთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები კორექტირდება სისტემური (ე.ი. საბაზრო) რისკით, კერძოდ, რისკის პრემიის გამორიცხვით (ე.ი. რისკის გათვალისწინებით კორექტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები). რისკის გათვალისწინებით კორექტირებული ამგვარი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები წარმოადგენს მოსალოდნელ ეკვივალენტურ ფულად ნაკადს, რომელიც დისკონტირდება ურისკო საპროცენტო განაკვეთით. საიმედო ეკვივალენტური ფულადი ნაკადი გულისხმობს მოსალოდნელ ფულად ნაკადს (ამ სტანდარტში მოცემული განმარტების შესაბამისად), რომელიც კორექტირებულია რისკის გათვალისწინებით იმგვარად, რომ ბაზრის მონაწილე დამოკიდებული არ იყოს გარკვეული ფულადი ნაკადის მოსალოდნელ ფულად ნაკადზე გაცვლაზე. მაგალითად, თუ ბაზრის მონაწილეს მოესურვებოდა 1,200 ფე-ის ტოლი მოსალოდნელი ფულადი ნაკადის გაცვლა 1,000 ფე-ის ტოლ გარკვეულ ფულად ნაკადზე, 1,000 ფე იქნებოდა 1,200 ფე-ის საიმედო ეკვივალენტი (ე.ი. 200 ფე იქნებოდა რისკის პრემია). ასეთ შემთხვევაში, ბაზრის მონაწილე დამოკიდებული არ იქნებოდა მის მიერ ფლობილ აქტივზე.

ბ26. 1-ლი მეთოდისგან განსხვავებით, მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მე-2 მეთოდის დროს აქტივთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები სისტემური რისკით (ე.ი. საბაზრო რისკით) კორექტირდება, რისკის პრემიის გამოყენებით ურისკო საპროცენტო განაკვეთის მიმართ. შესაბამისად, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ისეთი განაკვეთით, რომელიც შეესაბამება ალბათობებით შეწონილ ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ განაკვეთს (ე.ი. უკუგების მოსალოდნელი განაკვეთი). უკუგების მოსალოდნელი განაკვეთის შესაფასებლად შეიძლება ისეთი მოდელების გამოყენება, რომლებიც გამოიყენება რისკიანი აქტივების შესაფასებლად, როგორიცაა, მაგალითად კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი. ვინაიდან დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის პირობით ფულად ნაკადებთან დაკავშირებული უკუგების განაკვეთი, მოსალოდნელია, რომ ის უფრო დიდი იქნება, ვიდრე მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მე-2 მეთოდში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი, რომელიც არის უკუგების მოსალოდნელი განაკვეთი, დაკავშირებული მოსალოდნელ, ან ალბათობებით შეწონილ ფულად ნაკადებთან.

ბ27. 1-ლი და მე-2 მეთოდის გამოყენების თვალსაჩინოების მიზნით, დავუშვათ, რომ აქტივთან დაკავშირებით მოსალოდნელია 780 ფე-ის ტოლი ფულადი ნაკადის მიღება ერთი წლის შემდეგ, რაც განისაზღვრა შესაძლო ფულადი ნაკადებისა და ალბათობების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია შემდეგ ცხრილში. ერთი წლის ვადის მქონე ფულადი ნაკადებისთვის შესაფერისი ურისკო საპროცენტო განაკვეთი არის 5% და სისტემური რისკის პრემია იმავე ტიპის რისკზე დაქვემდებარებული აქტივისთვის – 3%.

| შესაძლო ფულადი ნაკადები | ალბათობა | ალბათობებით შეწონილი ფულადი ნაკადები |
|---|---|---|
| 500 ფე | 15% | 75 ფე |
| 800 ფე | 60% | 480 ფე |
| 900 ფე | 25% | 225 ფე |
| მოსალოდნელი ფულადი ნაკადები | | 780 ფე |

ბ28. ამ მარტივ მაგალითში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (780 ფე) წარმოადგენს სამი შესაძლო შედეგის ალბათობებით შეწონილ საშუალოს. უფრო რეალურ სიტუაციებში შეიძლება ბევრი შესაძლო შედეგი არსებობდეს. თუმცა, მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებისას ყოველთვის აუცილებელი არ არის ყველა შესაძლო ფულადი ნაკადის განაწილების გათვალისწინება რთული მოდელებისა თუ მეთოდების გამოყენებით. ამის ნაცვლად, შესაძლებელია შეზღუდული რაოდენობის იზოლირებული სცენარებისა და ალბათობების დამუშავება, რომლებიც მოიცავს შესაძლო ფულადი ნაკადების გარკვეულ ერთობლიობას. მაგალითად, საწარმოს შეუძლია გამოიყენოს რომელიმე შესაფერისი გასული პერიოდის რეალიზებული ფულადი ნაკადები, რომლებიც კორექტირებულია გარემოებებში შემდგომში მომხდარი ცვლილებებით (მაგალითად, გარე ფაქტორების ცვლილებები, მათ შორის, ეკონომიკურ, ან საბაზრო პირობებში, დარგის ტენდენციებსა და კონკურენციაში მომხდარი ცვლილებები, ასევე შიდა ფაქტორების ცვლილებები, რომლებიც საწარმოზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს), ბაზრის მონაწილეთა დაშვებების გათვალისწინებით.

ბ29. თეორიაში აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (ე.ი. სამართლიანი ღირებულება) ერთი და იგივეა, იმის მიუხედავად, 1-ლი მეთოდით არის გამოთვლილი, თუ მე-2 მეთოდით, კერძოდ:

ა) 1-ლი მეთოდის გამოყენებისას, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები კორექტირდება სისტემური (ე.ი. საბაზრო) რისკით. როდესაც არ არსებობს საბაზრო მონაცემები, რომლებიც პირდაპირ გვიჩვენებს რისკის გასათვალისწინებელი კორექტირების თანხის ოდენობას, ამგვარი კორექტირების თანხა შეიძლება განისაზღვროს აქტივების შეფასების მოდელის მეშვეობით, საიმედო ეკვივალენტური ფულადი ნაკადების ცნების გამოყენებით. მაგალითად, რისკის გასათვალისწინებელი კორექტირების თანხა (ე.ი. რისკის პრემია 22 ფე) შეიძლება განისაზღვროს 3%-ის ტოლი სისტემური რისკის პრემიის გამოყენებით (780 ფე – [780ფე × (1.05/1.08)]), რის შედეგადაც მივიღებთ რისკის გათვალისწინებით კორექტირებულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს 758 ფე-ს (780 ფე – 22 ფე). 758 ფე არის 780 ფე-ის საიმედო ეკვივალენტი და დისკონტირდება ურისკო საპროცენტო განაკვეთით (5%). აქტივის დღევანდელი ღირებულება (ე.ი. სამართლიანი ღირებულება) იქნება 722 ფე (758 ფე/1.05);

ბ) მე-2 მეთოდის დროს მოსალოდნელი ფულადი ნაკადები არ კორექტირდება სისტემური (ე.ი. საბაზრო) რისკის გათვალისწინებით. ამის ნაცვლად, აღნიშნული რისკით კორექტირდება დისკონტირების განაკვეთი. ამგვარად, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები კორექტირდება უკუგების მოსალოდნელი განაკვეთით – 8%-ით (ე.ი. ურისკო საპროცენტო განაკვეთს 5%-ს პლუს 3% სისტემური რისკის პრემია. აქტივის დღევანდელი ღირებულება (ე.ი. სამართლიანი ღირებულება) იქნება 722 ფე (780 ფე/1.08).

ბ30. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად მოსალოდნელი დისკონტირების ღირებულების მეთოდის გამოსაყენებლად საწარმო იყენებს ან 1-ელ ან მე-2 მეთოდს. მეთოდის შერჩევა დამოკიდებული იქნება შესაფასებელი აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე, ასევე რამდენად ხელმისაწვდომია საკმარისი მონაცემები და რა დონის განსჯაა საჭირო მათ გამოსაყენებლად.

## დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენება ვალდებულებებთან და საწარმოს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებთან მიმართებით, რომლებსაც სხვა მხარეები არ ფლობენ როგორც აქტივებს (მე-40 და 41-ე პუნქტები)

ბ31. დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებისას ისეთი ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელსაც სხვა მხარე არ ფლობს როგორც აქტივს (როგორიცაა, მაგალითად აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულება), საწარმომ, სხვასთან ერთად, უნდა შეაფასოს მომავალი ფულადი ნაკადები, რომლის გასვლაც, ბაზრის მონაწილეების ვარაუდით, საჭირო იქნება ვალდებულების შესასრულებლად. მომავალი ფულადი ნაკადების ამგვარი გასვლა უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილეთა მოლოდინს იმ დანახარჯების შესახებ, რომლის გაწევაც აუცილებელი იქნება ვალდებულების შესასრულებლად და ასევე კომპენსაციას, რომელსაც ბაზრის მონაწილე მოითხოვდა ვალდებულების საკუთარ თავზე ასაღებად. ამგვარი კომპენსაცია მოიცავს უკუგებას (შემოსავალს), რომელსაც ბაზრის მონაწილე მოითხოვდა შემდეგ შემთხვევებში:

 © IFRS Foundation

ა) საქმიანობის განხორციელებისთვის (ე.ი. ვალდებულების შესრულების ღირებულება, მაგალითად ისეთი რესურსებისთვის, რომლებიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო სხვა საქმიანობაში); და

ბ) ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკის თავის თავზე აღებისთვის (ე.ი. რისკის პრემია, რომელიც ასახავს იმის რისკს, რომ ფაქტობრივად გასული ფულადი ნაკადები შეიძლება განსხვავებული იყოს მოსალოდნელისგან; იხ. ბ33 პუნქტი).

ბ32. მაგალითად, არაფინანსური ვალდებულება არ მოიცავს უკუგების სახელშეკრულებო განაკვეთს და ამ ვალდებულებისთვის არ არსებობს ემპირიული საბაზრო შემოსავლიანობა. ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება იმ უკუგების (შემოსავლის) კომპონენტების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოითხოვდნენ (მაგალითად, როდესაც შეფასებისთვის გამოიყენება ფასი, რომელსაც მენარდე მესამე მხარე მოითხოვდა ფიქსირებული საზღაურის სახით). სხვა შემთხვევაში, საწარმოს დასჭირდება ამ კომპონენტების ცალ-ცალკე შეფასება (მაგალითად, როდესაც გამოიყენება ფასი, რომელსაც მენარდე მესამე მხარე მოითხოვდა „დანახარჯები პლუს“ პრინციპით, ვინაიდან მენარდე, ამ შემთხვევაში, დამოკიდებული არ იქნება დანახარჯების სამომავლო ცვლილებების რისკზე.).

ბ33. ისეთი ვალდებულებების, ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელსაც სხვა მხარე არ ფლობს, როგორც აქტივს, რისკის პრემიის გათვალისწინება საწარმოს შეუძლია ერთ-ერთი შემდეგი მეთოდის გამოყენებით:

ა) ფულადი ნაკადების კორექტირებით (ე.ი. გასასვლელი ფულადი ნაკადების ოდენობის გაზრდით); ან

ბ) მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებული განაკვეთის კორექტირებით (ე.ი. დისკონტირების განაკვეთის შემცირებით).

საწარმო უნდა დარწმუნდეს, რომ მან ორჯერ არ გაითვალისწინა, ან არ გამოტოვა რისკით კორექტირება. მაგალითად, თუ შეფასებული ფულადი ნაკადები იზრდება ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკის აღების შესაფერისი კომპენსაციის გათვალისწინებით, დისკონტირების განაკვეთი არ უნდა გაკორექტირდეს ამ რისკის ასახვის მიზნით.

## შეფასების მეთოდებში გამოსაყენებელი ამოსავალი მონაცემები (67-71-ე პუნქტები)

ბ34. ბაზრებს, სადაც შეიძლება ემპირიული იყოს ამოსავალი მონაცემები ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის, განეკუთვნება:

ა) *საფონდო ბირჟები.* საფონდო ბირჟაზე ბირჟის დახურვის ფასები ადვილად მოსაპოვებელია და, საზოგადოდ, ეს ფასები სამართლიან ღ ირებულებას წარმოადგენს. ამგვარი ბაზრის მაგალითია ლონდონის საფონდო ბირჟა;

ბ) *დილერული ბაზრები.* დილერულ ბაზრებზე დილერები ყოველთვის მზად არიან ვაჭრობისთვის (საკუთარ ხარჯზე ყიდვის, ან გაყიდვისთვის) და, ამგვარად, უზრუნველყოფენ ლიკვიდობას თავიანთი კაპიტალის გამოყენებით იმისათვის, რომ მარაგში ჰქონდეთ ის ერთეულები, რომლისთვისაც ისინი ბაზარს ქმნიან. როგორც წესი, მყიდველისა და გამყიდველის ფასები (ანუ ფასი, რომლითაც დილერს სურს ყიდვა და ფასი, რომლითაც დილერს სურს გაყიდვა, შესაბამისად) უფრო ადვილად მოსაპოვებელია, ვიდრე ბაზრის დახურვის ფასები. არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების ბაზრები (რომლის ფასები საჯაროდ ქვეყნდება) დილერული ბაზრებია. დილერული ბაზრები არსებობს ასევე სხვა სახის აქტივებისა და ვალდებულებებისთვისაც, მათ შორის ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის, საქონლისა და მატერიალური აქტივებისთვის (როგორიცაა, მაგალითად ხმარებაში ნამყოფი მოწყობილობები);

გ) *საშუამავლო ბაზრები.* საშუამავლო ბაზარზე ბროკერები ცდილობენ მყიდველების დაკავშირებას გამყიდველებთან, მაგრამ თვითონ ისინი მზად არ არიან, ვაჭრობა განახორციელონ საკუთარ ხარჯზე. სხვა სიტყვებით, ბროკერები საკუთარ კაპიტალს არ იყენებენ იმისთვის, რომ მარაგში ჰქონდეთ ის ერთეულები, რომლისთვისაც ისინი ბაზარს ქმნიან. ბროკერმა იცის მოთხოვნა-მიწოდების (მყიდველისა და გამყიდველის) ფასები,

მაგრამ, როგორც წესი, არც ერთმა მხარემ არ იცის მეორე მხარის ფასის მოთხოვნები. ზოგჯერ შესაძლებელია განხორციელებული ოპერაციების ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. საშუამავლო ბაზრებს გააჩნიათ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი, სადაც ერთმანეთს შეუსაბამდება ყიდვა-გაყიდვის შეკვეთები, ასევე კომერციული და საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრები;

დ) *„მარწმუნებლიდან მარწმუნებლამდე“ ბაზრები.* „მარწმუნებლიდან მარწმუნებლამდე“ ბაზარზე, როგორც საწყის, ასევე გადაყიდვის ოპერაციებს მხარეები დამოუკიდებლად, შუამავლების გარეშე ახორციელებენ. ამგვარი ოპერაციების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია შეიძლება მცირე მოცულობის იყოს.

## სამართლიანი ღირებულების იერარქია (72-90-ე პუნქტები)

### მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები (81-85-ე პუნქტები)

ბ35. კონკრეტული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის მე-2 დონის ამოსავალი მონაცემების მაგალითებია:

ა) საპროცენტო განაკვეთის სვოპი ფიქსირებული შემოსულობებითა და ცვალებადი გადასახდელი თანხებით, რომელიც ეფუძნება ლონდონის ბანკთაშორის შეთავაზების კურსს (LIBOR). მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება LIBOR სვოპის კურსი, თუ ეს კურსი ემპირიულია ჩვეულებრივ კოტირებულ ინტერვალებში, პრაქტიკულად სვოპის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში;

ბ) საპროცენტო განაკვეთის სვოპი ფიქსირებული შემოსულობებითა და ცვალებადი გადასახდელი თანხებით, რომელიც ეფუძნება უცხოურ ვალუტაში გამოსახულ შემოსავლიანობის მრუდს. მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება სვოპის განაკვეთი, რომელიც ეფუძნება უცხოურ ვალუტაში გამოსახულ შემოსავლიანობის მრუდს და ემპირიულია ჩვეულებრივ კოტირებულ ინტერვალებში, პრაქტიკულად სვოპის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. ასე ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სვოპის მოქმედების ვადა 10 წელია და ეს განაკვეთი ემპირიულია 9-წლიან ჩვეულებრივ კოტირებულ ინტერვალებში, იმ პირობით, თუ 10 წლის შემოსავლიანობის მრუდის ნებისმიერი დასაბუთებული ექსტრაპოლაცია მნიშვნელოვანი არ იქნება მთლიანად სვოპის სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან მიმართებით;

გ) საპროცენტო განაკვეთის სვოპი ფიქსირებული შემოსულობებითა და ცვალებადი გადასახდელი თანხებით, რომელიც ეფუძნება გარკვეული ბანკის საბაზისო განაკვეთს. მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება ამ ბანკის საბაზისო განაკვეთი, რომელიც გამოთვლილია ექსტრაპოლაციის მეთოდით, თუ ექსტრაპოლაციის შედეგად მიღებული მნიშვნელობები დასტურდება ემპირიული საბაზრო მონაცემებით, მაგალითად ისეთ საპროცენტო განაკვეთთან კორელაციის მეშვეობით, რომელიც ემპირიულია პრაქტიკულად სვოპის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში;

დ) *ისეთ აქციებთან დაკავშირებული სამწლიანი ოფციონი, რომლებიც მიმოიქცევა საფონდო ბირჟაზე.* მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება აქციების ნაგულისხმევი ცვალებადობა, რაც განისაზღვრება ექსტრაპოლაციის მეშვეობით მე-3 წელთან, თუ ორივე შემდეგი პირობა არსებობს:

(i) ემპირიულია აქციებთან დაკავშირებული ერთწლიანი და ორწლიანი ოფციონების ფასები;

(ii) ექსტრაპოლაციის გზით განსაზღვრული ნაგულისხმევი ცვალებადობა დასტურდება სამწლიანი ოფციონის ემპირიული საბაზრო მონაცემებით, პრაქტიკულად ოფციონის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

(iii) ასეთ შემთხვევაში, ნაგულისხმევი ცვალებადობის განსაზღვრა შესაძლებელია აქციებთან დაკავშირებული ერთწლიანი და ორწლიანი ოფციონების ნაგულისხმევი ცვალებადობის ექსტრაპოლაციის გზით, რომელიც დადასტურდება შესადარისი საწარმოების აქციებთან დაკავშირებული სამწლიანი ოფციონების ნაგულისხმევი

ცვალებადობით, იმ პირობით, თუ დადგინდება კორელაცია ერთწლიან და ორწლიან ნაგულისხმევ ცვალებადობასთან;

ე) *სალიცენზიო შეთანხმება.* საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი სალიცენზიო შეთანხმებისთვის, რომელიც ახლახან შეათანხმა მყიდველმა საწარმომ (სალიცენზიო შეთანხმების ერთ-ერთმა მხარემ) არადაკავშირებულ მხარესთან, მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება როიალტის განაკვეთი, რომლის გადახდასაც ითვალისწინებს არადაკავშირებულ მხარესთან დადებული ხელშეკრულება სალიცენზიო შეთანხმების დადებისას;

ვ) *მზა პროდუქციის მარაგი სავაჭრო ობიექტში.* მზა პროდუქციის მარაგისთვის, რომელიც შეძენილია საწარმოთა გაერთიანებისას, მე-2 დონის ამოსავალო მონაცემები იქნება ან მომხმარებლებზე პროდუქციის სარეალიზაციო ფასი საცალო ბაზარზე, ან პროდუქციის სარეალიზაციო ფასი საცალო ვაჭრობის ობიექტებზე – საბითუმო ბაზარზე, რომელიც კორექტირებულია მოცემული პროდუქციისა და შესადარისი (ე.ი. ანალოგიური) პროდუქციის მდგომარეობასა და ადგილმდებარეობას შორის განსხვავებების გათვალისწინებით იმგვარად, რომ სამართლიანი ღირებულება ასახავდეს ფასს, რომელსაც მიიღებდა ამ პროდუქციის მყიდველი სხვა საცალო ვაჭრობის ობიექტი (საცალო გამყიდველი) მას შემდეგ, რაც დაასრულებდა პროდუქციის გაყიდვისთვის აუცილებელ ქმედებებს. შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების შეფასება ერთნაირი იქნება იმის მიუხედავად, საცალო ვაჭრობის ფასი გაკორექტირდება (ე.ი შემცირებით), თუ საბითუმო ფასი (ე.ი. გადიდებით). საზოგადოდ, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად უნდა გამოიყენებოდეს ის ფასი, რომელსაც მცირე მოცულობის სუბიექტური კორექტირებები ესაჭიროება;

ზ) *საწარმოს განკარგულებაში მყოფი შენობა, რომელსაც თვითონ იყენებს.* მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება შენობის ერთი კვადრატული მეტრის ფასი (შეფასების მულტიპლიკატორი), რომელიც გამოითვლება ემპირიული საბაზრო მონაცემების საფუძველზე, მაგალითად ისეთი ფასებიდან გამოთვლილი მულტიპლიკატორები, რომლებიც გამოიყენება ანალოგიური ადგილმდებარეობის შესადარის (ე.ი. ანალოგიური) შენობებზე განხორციელებულ ემპირიულ ოპერაციებში;

თ) *ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული.* მე-2 დონის მონაცემები იქნება შეფასების მულტიპლიკატორი (მაგალითად, მოგების ან ამონაგების, ან საქმიანობის შედეგების ამსახველი ანალოგიური მაჩვენებლის მულტიპლიკატორი), რომელიც გამოთვლილია ემპირიული საბაზრო მონაცემების საფუძველზე, მაგალითად, ისეთი ფასებიდან გამოთვლილი მულტიპლიკატორები, რომლებიც გამოიყენება შესადარისი (ე.ი. ანალოგიური) საწარმოების მიერ განხორციელებულ ემპირიულ ოპერაციებში, საოპერაციო, საბაზრო, ფინანსური და არაფინანსური ფაქტორების გათვალისწინებით.

## მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები (86-90-ე) პუნქტები

ბ36. კონკრეტული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის მე-3 დონის ამოსავალი მონაცემების მაგალითებია:

ა) *გრძელვადიანი სავალუტო სვოპი.* მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება საპროცენტო განაკვეთი კონკრეტულ ვალუტაში, რომელიც ემპირიული არ არის და მისი დადასტურება ემპირიული საბაზრო მონაცემებით ჩვეულებრივ კოტირებულ ინტერვალებში, ან სხვანაირად შეუძლებელია პრაქტიკულად სავალუტო სვოპის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. სავალუტო სვოპის საპროცენტო განაკვეთები ის განაკვეთებია, რომლებიც გამოთვლილია შესადარისი ქვეყნების შემოსავლიანობის მრუდების მიხედვით;

ბ) *ისეთ აქციებთან დაკავშირებული სამწლიანი ოფციონი, რომლებიც მიმოიქცევა საფონდო ბირჟაზე.* მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება აქციების წარსული პერიოდების ცვალებადობა, ე.ი. აქციების ცვალებადობა, რომელიც გამოითვლება აქციების წარსული პერიოდების ფასებიდან. როგორც წესი, აქციების წარსული პერიოდების ცვალებადობა არ ასახავს აქციების სამომავლო ცვალებადობის შესახებ ბაზრის მონაწილეთა მოლოდინებს მიმდინარე მომენტში, თუნდაც ეს იყოს ინფორმაციის ერთადერთი წყარო ოფციონის ფასის დასადგენად;

გ) *საპროცენტო განაკვეთის სვოპი.* მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება სვოპის საშუალო საბაზრო შეთანხმებული (არასავალდებულო) ფასი, რომელიც დამუშავებულია ისეთი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც უშუალოდ ემპირიული არ არის და არანაირი გზით არ შეიძლება მათი დადასტურება ემპირიული საბაზრო მონაცემებით;

დ) *საწარმოთა გაერთიანებისას აღებული ვალდებულება, ობიექტების ექსპლუატაციიდან ამოღების თაობაზე.* მე-3 დონის მონაცემები იქნება მიმდინარე შეფასება, გამოთვლილი საწარმოს საკუთარი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ეხება მომავალში საწარმოდან ფულადი ნაკადების გასვლას ვალდებულების დასაფარად (მათ შორის, ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების გათვალისწინებით, ვალდებულების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებისა და კომპენსაციის შესახებ, რომელსაც ბაზრის მონაწილე მოითხოვდა აქტივის დემონტაჟის ვალდებულების თავის თავზე აღებისთვის), თუ არ არსებობს დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც იმაზე მიანიშნებს, რომ ბაზრის მონაწილეები სხვა დაშვებებს გამოიყენებდნენ. ამგვარი მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები დღევანდელი ღირებულების მეთოდში გამოიყენება სხვა ამოსავალ მონაცემებთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად მიმდინარე ურისკო საპროცენტო განაკვეთი, ან ურისკო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც კორექტირებულია კრედიტუნარიანობის გათვალისწინებით, თუ ვალდებულების სამართლიან ღირებულებაზე საწარმოს საკრედიტო რეპუტაციის გავლენა ასახულია დისკონტირების განაკვეთში და არა იმ ფულადი ნაკადების შეფასებაში, რომელთა გასვლაც საწარმოდან მოსალოდნელია მომავალში;

ე) *ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული.* მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება ფინანსური საპროგნოზო მონაცემები (მაგალითად, ფულადი ნაკადების, ან მოგების ან ზარალის), რომლებიც დამუშავებულია საწარმოს საკუთარი მონაცემების საფუძველზე, თუ არ არსებობს დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც იმაზე მიანიშნებს, რომ ბაზრის მონაწილეები სხვა დაშვებებს გამოიყენებდნენ.

## სამართლიანი ღირებულების შეფასება, როდესაც ბაზარზე აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებით საქმიანობის მოცულობა, ან დონე მნიშვნელოვნად შემცირდა

ბ37. აქტივის ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს მოცემულ აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობის, ან დონის მნიშვნელოვნად შემცირებამ, ამ აქტივთან ან ვალდებულებასთან (ან ანალოგიურ აქტივებთან ან ვალდებულებებთან) დაკავშირებით ბაზრის ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით. იმისათვის, რომ საწარმომ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინოს, მნიშვნელოვნად შემცირდა თუ არა ბაზარზე მოცემულ აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, მან უნდა შეაფასოს ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელობა და რელევანტურობა:

ა) უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა მცირერიცხოვანი ოპერაციები;

ბ) ფასების კოტირების დამუშავება არ ხდება მიმდინარე ინფორმაციის გამოყენებით;

გ) ფასების კოტირებები მნიშვნელოვნად იცვლება ან დროთა განმავლობაში, ან ბაზრის მონაწილეების მიხედვით (მაგალითად, ზოგიერთ საშუამავლო ბაზარზე);

დ) მაჩვენებლები, რომლებიც ადრე მაღალ კორელაციაში იმყოფებოდა აქტივის ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებასთან, ახლა აშკარად აღარ შეესაბამება ამ აქტივის ან ვალდებულების უკანასკნელი პერიოდის სამართლიანი ღირებულების მაჩვენებლებს;

ე) ემპირიული ოპერაციების, ან კოტირებული ფასებისთვის მნიშვნელოვნად იზრდება ლიკვიდობის რისკთან დაკავშირებული ნაგულისხმევი პრემიები, შემოსავლიანობის დონე, ან საქმიანობის შედეგების ამსახველი მაჩვენებლები (როგორიცაა, მაგალითად სესხის ვადაგადაცილების საჯარიმო განაკვეთები, ან ზარალის სიმძიმესთან დაკავშირებული საჯარიმო განაკვეთები), საწარმოს მიერ გამოთვლილ, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებებთან შედარებით, ყველა არსებული საბაზრო მონაცემის გათვალისწინებით,

 © IFRS Foundation

რომელიც ეხება აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებულ საკრედიტო და ვალდე-ბულების შეუსრულებლობის სხვა რისკს;

ვ) მნიშვნელოვანი სიდიდისაა მოთხოვნა-მიწოდების სპრედი, ან მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნა-მიწოდების სპრედი;

ზ) მოცემული აქტივის ან ვალდებულების, ან ანალოგიური აქტივების ან ვალდებულე-ბებისთვის მნიშვნელოვნად ეცემა ბაზარზე საქმიანობის მოცულობა, ან არ არსებობს ბაზარი ახალი ემისიებისთვის (ე.ი. ძირითადი ბაზარი);

თ) მცირე ინფორმაციაა საჯაროდ ხელმისაწვდომი (მაგალითად, ისეთი ოპერაციების შესახებ, რომლებიც ხორციელდება „მარწმუნებლიდან მარწმუნებლამდე“ ბაზარზე).

ბ38. თუ საწარმო დაასკვნის, რომ ბაზრის ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ბაზარზე მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან (ან ანალოგიურ აქტივებთან ან ვალდებულებებთან) დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, აუცილებელი იქნება ამ ოპერაციების, ან კოტირებული ფასების დამატებითი ანალიზის ჩატარება. საქმიანობის მოცულობის, ან დონის შემცირება, თავისთავად, არ მიანიშნებს იმაზე, რომ ოპერაცია, ან კოტირებული ფასი არ ასახავს სამართლიან ღირებულებას, ან ამ ბაზარზე განხორციელებული ოპერაცია არ არის ნებაყოფლობითი. თუმცა, თუ საწარმო დაადგენს, რომ ოპერაცია, ან კოტირე-ბული ფასი არ ასახავს სამართლიან ღირებულებას (მაგალითად, შეიძლება არსებობდეს ისეთი ოპერაციები, რომლებიც არ განხორციელებულა ნებაყოფლობით საფუძველზე), აუცილებელი გახდება ამ ოპერაციების, ან კოტირებული ფასების კორექტირება, თუ საწარმო გამოიყენებს ამ ფასებს სამართლიანი ღირებულების შეფასების საფუძვლად და ამგვარი კორექტირება შეიძ-ლება მნიშვნელოვანი იყოს სამართლიანი ღირებულების მთლიან შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, კორექტირება შეიძლება აუცილებელი გახდეს სხვა გარემოებებშიც (მაგალითად, როდესაც ანალოგიური აქტივის ფასი მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს, შესაფასებელ აქტივთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ან იმის გამო, რომ ფასი მოძველდა).

ბ39. წინამდებარე სტანდარტი არ ადგენს ოპერაციების, ან კოტირებული ფასების მნიშვნელოვანი კორექტირებებისთვის გამოსაყენებელ მეთოდიკას. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად შეფასების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია 61-66-ე და ბ5-ბ11 პუნქტებში. იმის მიუხედავად, შეფასების რომელ მეთოდს იყენებს, საწარმომ აუცილებლად უნდა შეიტანოს კორექტირებები რისკის გასათვალისწინებლად, მათ შორის რისკის პრემიის გასათვალისწინებლად, რომელიც ასახავს იმ თანხას, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოით-ხოვდნენ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამა-ხასიათებელი განუსაზღვრელობის კომპენსაციის სახით (იხ. ბ17 პუნქტი). წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფასება სარწმუნოდ ვერ ასახავს სამართლიან ღირებულებას. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება რთული იყოს შესაბამისი კორექტირების განსაზღვრა. თუმცა, სირთულის ხარისხი თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ კორექტირება არ გაკეთდეს რისკის გასათვალისწინებლად. რისკის გასათვალისწინებლად განხორციელებული კორექტირება უნდა ასახავდეს ოპერაციას, რომელიც ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელდებოდა ნებაყოფლობით, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში.

ბ40. თუ ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირდა მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავ-შირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს შეფასების მეთოდის შეცვლა, ან რამდენიმე შეფასების მეთოდის გამოყენება (მაგალითად, საბაზრო მიდგო-მისა და დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენება). როდესაც საწარმო აწარმოებს შეფასების სხვადასხვა მეთოდით მიღებული სამართლიანი ღირებულების მნიშვნელობების შეწონვას, მან უნდა განიხილოს სამართლიანი ღირებულების შეფასებების დიაპაზონის დასაბუთებულობა. მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დადგინდეს ამ დიაპაზონში შეფასების ისეთი მნიშვნელობა, რომელიც ყველაზე ზუსტად ასახავს სამართლიან ღირებულებას მიმდინარე საბაზრო პირობებში. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ფართო დიაპაზონი შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ აუცილებელია დამატებითი ანალიზის ჩატარება.

ბ41. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირებულია მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანი არ იცვლება. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ან, რომელიც გადასახდელი იქნებოდა

ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს მიმდინარე საბაზრო პირობებში.

ბ42. თუ ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირებულია მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, შეფასებითი ფასი, რომლითაც ბაზრის მონაწილეები მოისურვებდნენ ოპერაციის განხორციელებას შეფასების თარიღისთვის მიმდინარე საბაზრო პირობებში, დამოკიდებული იქნება შეფასების თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე და საჭიროებს საწარმოს მხრიდან განსჯას. სამართლიანი ღირებულების შეფასებისას მნიშვნელობა არა აქვს საწარმოს განზრახვას, შეინარჩუნოს აქტივი, ან დაფაროს ან რაიმე სხვა გზით შეასრულოს ვალდებულება, ვინაიდან სამართლიანი ღირებულება არის საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასება და არა თვითონ საწარმოსთვის დამახასიათებელი და მისთვის შესაფერისი შეფასება.

**ისეთი ოპერაციების დადგენა, რომლებიც არ არის ნებაყოფლობითი**

ბ43. ისეთი ოპერაციების დადგენა, რომლებიც ნებაყოფლობითია (ან არ არის ნებაყოფლობითი) გაცილებით უფრო რთულია იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირებულია მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, აქტივთან ან ვალდებულებასთან (ან ანალოგიურ აქტივებთან ან ვალდებულებებთან) დაკავშირებით, ბაზრის ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით. ასეთ სიტუაციაში მიზანშეწონილი არ არის, საწარმომ დაასკვნას, რომ ბაზარზე განხორციელებული არც ერთი ოპერაცია არ არის ნებაყოფლობითი (ე.ი. განპირობებულია ძალდატანებითი ლიკვიდაციით, ან იძულებითი გაყიდვით). შემდეგი გარემოებები შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ ოპერაცია არ არის ნებაყოფლობით შესრულებული:

ა) ამგვარი ოპერაციები არ განხორციელებულა ბაზარზე შეფასების თარიღამდე ისეთი პერიოდის განმავლობაში, რომელიც ამგვარი აქტივებისა და ვალდებულებებით ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო ტიპური და საყოველთაოდ მიღებული მარკეტინგული ღონისძიებების გატარების საშუალებას იძლევა მიმდინარე საბაზრო პირობებში;

ბ) არსებობდა მარკეტინგული ღონისძიებებისთვის აუცილებელი ტიპური და საყოველთაოდ მიღებული პერიოდი, მაგრამ გამყიდველი ამ აქტივს ან ვალდებულებას რეკლამას უკეთებდა მხოლოდ ბაზრის ერთი მონაწილის წინაშე;

გ) გამყიდველი იმყოფება გაკოტრების პროცესში, ან გაკოტრებასთან ახლოს, ან საკონკურსო მართვის მდგომარეობაში, ან მასთან ახლოს (ე.ი. გამყიდველი გარემოებების გამო არის იძულებული, რომ განახორციელოს ეს ოპერაცია);

დ) გამყიდველი ვალდებული იყო გაეყიდა, რათა შეესრულებინა მარეგულირებელი ორგანოებისა და საკანონმდებლო მოთხოვნები (ე.ი. გამყიდველი იძულებული იყო, განეხორციელებინა ეს ოპერაცია);

ე) ოპერაციის ფასი მკვეთრად განსხვავებულია უკანასკნელ პერიოდში ისეთივე, ან ანალოგიური აქტივით, ან ვალდებულებით განხორციელებული სხვა ოპერაციების ფასებთან შედარებით.

საწარმომ უნდა განიხილოს კონკრეტული გარემოებები, რათა ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულების საფუძველზე დაადგინოს, არის თუ არა ოპერაცია ნებაყოფლობითი ხასიათის.

ბ44. როდესაც აფასებს სამართლიან ღ ირებულებას, ან საბაზრო რისკის პრემიას, საწარმომ უნდა განიხილოს და გაითვალისწინოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მომენტი:

ა) თუ მტკიცებულებები იმაზე მიანიშნებს, რომ ოპერაცია არ არის ნებაყოფლობითი, საწარმომ ამგვარი ოპერაციის ფასს ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს (სამართლიანი ღირებულების სხვა ინდიკატორებთან შედარებით), ან საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს;

ბ) თუ მტკიცებულებები იმაზე მიანიშნებს, რომ ოპერაცია ნებაყოფლობითია, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ამ ოპერაციის ფასი. რა დონის მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს საწარმომ ამ ოპერაციის ფასს სამართლიანი ღირებულების სხვა ინდიკატორებთან შედარებით, დამოკიდებული იქნება ისეთ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებიც მითითებულია ქვემოთ:

(i) ოპერაციის მოცულობა;

(ii) ამ ოპერაციის შესადარისობა შესაფასებელ აქტივთან ან ვალდებულებასთან;


© IFRS Foundation

(iii) ოპერაციის განხორციელების თარიღის სიახლოვე შეფასების თარიღთან.

გ) თუ საწარმოს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ დაასკვნას, ოპერაცია ნებაყოფლობითია თუ არა, მან მხედველობაში უნდა მიიღოს ოპერაციის ფასი. თუმცა, ოპერაციის ფასი შეიძლება არ წარმოაჩენდეს სამართლიან ღირებულებას (ე.ი. ოპერაციის ფასი ყოველთვის არ არის ერთადერთი ან უმთავრესი ბაზა სამართლიანი ღირებულების, ან საბაზრო რისკის პრემიების შეფასებისთვის). თუ საწარმოს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ დაასკვნას, კონკრეტული ოპერაციები ნებაყოფლობითია თუ არა, მან ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ამ ოპერაციებს სხვა ოპერაციებთან შედარებით, რომლებიც ცნობილია, რომ ნებაყოფლობით განხორციელდა.

საწარმოს არ ევალება ზედმეტი ძალისხმევის გამოჩენა იმის დასადგენად, ოპერაცია ნებაყოფლობითია თუ არა, მაგრამ მან არ უნდა უგულებელყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ იარსებებს. როდესაც საწარმო თვითონ არის ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე მხარე, იგულისხმება, რომ ექნება საკმარისი ინფორმაცია იმის დასადგენად, ოპერაცია ნებაყოფლობითია თუ არა.

**მესამე მხარეთა კოტირებული ფასების გამოყენება**

ბ45. წინამდებარე სტანდარტი არ კრძალავს მესამე მხარეთა (მაგალითად, ფასების სამსახურების, ან ბროკერების) მიერ მოწოდებული კოტირებული ფასების გამოყენებას, თუ საწარმო დაადგენს, რომ მესამე მხარეთა მიერ მოწოდებული კოტირებული ფასები დამუშავებული იყო წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

ბ46. თუ ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირებულია მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, საწარმომ უნდა განსაზღვროს, მესამე მხარეთა მიერ მოწოდებული კოტირებული ფასები დამუშავებულია თუ არა მიმდინარე საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ასახავს ნებაყოფლობით შესრულებულ ოპერაციებს, ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც ასახავს ბაზრის მონაწილეთა დაშვებებს (მათ შორის, რისკის შესახებ დაშვებებს). როდესაც საწარმო სამართლიანი ღირებულების შეფასებისას აანალიზებს კოტირებულ ფასს, როგორც ამოსავალ მონაცემს, მან ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს (სამართლიანი ღირებულების შეფასების სხვა ინდიკატორებთან შედარებით, რომლებიც ასახავს ოპერაციების შედეგებს) ისეთ კოტირებულ ფასებს, რომლებიც არ ასახავს ამ ოპერაციების შედეგებს.

ბ47. გარდა ამისა, არსებული მტკიცებულებების ანალიზის დროს, საწარმომ მხედველობაში უნდა მიიღოს კოტირების ხასიათი (მაგალითად, კოტირებული ფასი ინდიკაციური ფასია, თუ იურიდიული ძალის მქონე შეთავაზება) და უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს მესამე მხარეთა მიერ მოწოდებულ ისეთ ფასებს, რომლებიც ასახავს იურიდიული ძალის მქონე შეთავაზებებს.

# დანართი გ
# ძალაში შესვლის თარიღი და მოცემულ სტანდარტზე გადასვლა

*ეს დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, რაც სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.*

გ1. საწარმომ წინამდებარე ფასს სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2013 წლის 1 იანვარს და მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ სატანდარტს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

გ2. მოცემული სტანდარტი საწარმომ უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად იმ წლიური პერიოდის დასაწყისიდან, როდესაც პირველად გამოიყენებს მას.

გ3. განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით წინამდებარე სტან-დარტით გათვალისწინებული მოთხოვნების გამოყენება საწარმოს არ ევალება იმ შესადარისი ინფორმაციისთვის, რომლებიც წარდგენილი იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებთან მიმარ-თებით, სანამ საწარმო პირველად გამოიყენებდა ფასს 13-ს.

გ4. 2013 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2011-2013 წლების ციკლი“* – გამოიწვია 52-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 ივლისს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საწარმომ ეს ცვლილება უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად იმ წლიური პერიოდის დასაწყისიდან, რომლისთვისაც პირველად გამოიყენა ფასს 13. ნებადარ-თულია ამ ცვლილების ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

გ5. 2015 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია 52-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღ-ნიშნული ცვლილება იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.

გ6. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა - *„იჯარა“* - გამოიწვია მე-6 პუნქტის შეცვლა. საწა-რმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.


© IFRS Foundation